სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 20 იანვარი 2005 №10 (2333) ფასი 50 თეთრი

ლევანტეს არველაძე სურს

2



ზურაბ ხიზანიშვილი: მაინც გლაზგო

3



ჯან! ლუიჯი მეორედაც პირველია

6

შევჩენკომ კალაძე და-ასახელა

რობერტო ბაჯო, მიხაელ ბალაკი, ფრანჩესკო ტოტი, ზინედინ ზიდანი, პაველ ნედვედი, პაოლო მალდინი, ანდრეი შევჩენკო, დევიდ ბექემი, ალესანდრო დელ პიერო... როგორ ფიქრობთ, ამ ფეხბურთელების მერე ვისი გვარი უნდა ვახსენოთ?

...იტალიური „მილანის“ და საქართველოს ნაკრების მცველი კახა კალაძე ანდრეი შევჩენკოს შედგენილი ევროპის ნაკრების ფეხბურთელია!

„ფეხბურთი იმედისთვის“ — ასე უწოდეს მატჩს, რომელიც 15 თებერვალს ბარსელონურ „კამპ ნოუზე“ გაიმართება და ერთმანეთს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის, ანდრეი შევჩენკოსა და ფიფას გამოკითხვაში გამარჯვებული რონალდინიოს შედგენილი გუნდები დაუპირისპირდებიან. მატჩი საქველმოქმედო იქნება, შემოსავალი ცუნამით დაზარალებულ სამხრეთაღმოსავლელ აზიელებს მოხმარდებათ.

— ანდრეი შევჩენკოს ჩემთვის არაფერი უთქვამს. მე დღეს უკვე სრული დატვირთვით ვივარჯიშე, ის კი არ მინახავს. როგორც ვიცი, შვილი ჰყავს შეუძლოდ და ვარჯიშიდან გაათავისუფლეს. ეს ამბავი კი კარლო ანჩელოტიმ დღეს მითხრა, 15 თებერვალს ბარსელონაში ითამაშებო. ოღონდ ის არ ვიცი, ანდრეის კიდევ ვინ ჰყავს ნაკრებში მიწვეული.

— ზიდანი, ბაჯო, ანრი, ნედვედი, დელ პიერო, ბალაკი...

— მიხარია, რომ ასეთი ფეხბურთელების გვერდით მომიწევს თამაში... ჩემთვის მათთან ერთად მოედანზე გასვლა უდიდესი პატივი იქნება.

— მაშ, 15 თებერვალს ტელეეკრანებთან გელოდოთ?!

კი, ბარსელონაში ვიქნები და ვითამაშებ.

— მწვრთნელებზე რას იტყვი?..

— არც ის ვიცი, მწვრთნელები ვინ არიან...

— მარჩელო ლიპი და არსენ ვენგერი...

ორივე დიდი მწვრთნელია.

— ხომ არ ფიქრობ, რომ შევჩენკომ ევროპის ნაკრებში უფრო მეგობრობის გამო დაგასახელა?

— ანდრეი, უბრალოდ, კარგი ადამიანია და იცის, ვინ ვინაა.

კოტა ინასარიძე

ახალაიას ახალი არ მოუგონია

მესამე ქართველი ციურიხში

წუხელ საბოლოოდ გადაწყდა ლადო ახალაიას სატრანსფერო ამბავი: ქართველი ფეხბურთელი შვეიცარიულ „ციურიხში“ ითამაშებს. ახალაიამ 1+2 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამრიგად, მიხეილ ყაველაშვილის და გოჩა ჯამარაულის შემდეგ ლადო მესამე ციურიხელი ქართველია კლუბის ისტორიაში.

ლადო ახალაია

ლევანტეს არველაძე სურს

შოთას რეინჯერსში უკვე ესპანურად ელაპარაკებიან

გუშინ რამდენიმე უცხოურმა სააგენტომ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „გლაზგო რეინჯერსის“ 31 წლის შემტევი შოთა არველაძე შესაძლოა, ესპანურ „ლევანტეში“ გადავიდეს. ამ ინფორმაციას რაგინდარა სააგენტოების გარდა ოფიციალური პირიც ადასტურებს...

რუსული ვებ-გვერდი газета.ру აუწყებს, რომ არველაძე რამდენიმე ბუნდესლიგური გუნდის გარდა ესპანურ „ლევანტესაც“ სურს. გუშინ თავად არველაძეს დავუკავშირდით შოტლანდიაში და მისგან შევიტყვეთ, რომ „ლევანტეს“ სურვილის შესახებ ერთ-ერთ გლაზგოურ გაზეთსაც დაუწერია. „როცა დღეს „რეინჯერსს“ ბაზაზე მივედი, თანაგუნდელებმა ესპანურად დამიწყეს ლაპარაკი. რა დაგემართათ, რამ გადაგრიათ-მეთქი რომ ვკითხე, წინ გაზეთი დამიდეს, სადაც ეწერა, რომ ჩემით „ლევანტეა“ დაინტერესებული“ — გვითხრა შოთამ.

არველაძის აგენტი ივან ბენეში გახლავთ, ვინც ახლა თავის სამშობლოში, დანიაშია. „ბენეშს „ლევანტეს შესახებ ჩემთვის ჯერ არაფერი უთქვამს. ბენეში ისეთია, თუ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს, მანამდე არაფერს არ მეუბნება“ — განგვიმარტა არველაძემ.

სანამ შოთა ბენეშის სატელეფონო ზარს ელის, მის აგენტს ჩვენ დავურეკეთ. ბენეშმა დაგვიდასტურა, რომ „ლევანტეს“ მართლაც სურს არველაძის გადაბირება, მაგრამ თავად დაიწყო თუ არა მოლაპარაკება „ლევანტესთან“, ამაზე არ გვიპასუხა: „ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ კონფიდენციალურობაა საჭირო. არველაძით სხვა გუნდებიც არიან დაინტერესებული და უახლოეს ხანში, ალბათ, მომიწევს დანიიდან გამგზავრება“.

ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა ევროპაში 1 თებერვალს იხურება და არველაძეს სურს, რომ იანვარშივე გადავიდეს სხვა გუნდში, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი „რეინჯერსთან“ ამ სეზონის ბოლომდე აქვს. გახერხდება შოთას ტრანსფერი თებერვლამდე? როგორც ბენეშმა გვითხრა, ეს საკვლევით შესაძლებელია.

რაც შეეხება ვალენსიის „ლევანტეს“, ოცგუნდა პრიმერადივიზიონში მე-14 ადგილზეა. „ლევანტეს“ 80-იანი წლების გამოჩენილი გერმანელი ფეხბურთელი ბერნდ შუსტერი წვრთნის და სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ შუსტერს არველაძე თვალში მოსდის.

დავით თამართქილაძე

შოთა არველაძისგან განსხვავებით საქართველოს ნაკრების მცველ ზურაბ ხიზანიშვილს გლაზგოში დარჩენა სურს.

გეცოდინებათ, „გლაზო რეინჯერსი“ ჩვენებურს ახალ ხელშეკრულებას სთავაზობს და გუშინ ზურას აგენტი „ჩაფრების“ შეფობას სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ელაპარაკა.

რაზე შეუთანხმდა ზურას აგენტ ივან ბენეშის ვაჟი მარკო შოტლანდიელებს?

ზურაბ ხიზანიშვილი:

მაინც გლაზგო

— „რეინჯერსი“ ახალ სამწლიან კონტრაქტს მთავაზობს, მაგრამ ხელი ჯერ არ მომიწერია.

— რატომ, არ გსურს დარჩენა?

— დარჩენის სურვილი კი მაქვს, მაგრამ კლუბს უფრო მისაღებ პირობებზე ვეთათბირებით.

— ვიცი, დღეს შენი აგენტი შეხვდა „რეინჯერსის“ თავმჯდომარე დევიდ მიურეის და კლუბის სატრანსფერო საქმეთა შეფ მარტინ ბეინს...

— ბენეშის ვაჟმა მითხრა, თუ ჩვენს პირობებს დათანხმდნენ, ძალიან კარგი იქნებაო. თუ ასე არ მოხდა, სხვა რა დამრჩენია, წავალ. ერთი კი ნაღდად ვიცი, უგუნდოდ არ დავრჩები.

— საბოლოოდ როდის გადაწყდება ეგ ამბავი?

— ვფიქრობ, მაქსიმუმ ათ დღეში, ზამთრის სატრანსფერო სეზონის დახურვამდე.

— თუ „რეინჯერსში“ არ დარჩი, სად წახვალ?

— დაინტერესება სოლიდური გუნდებისგანაა, მაგრამ გამხელისგან თავს შევიკავებ. მე მაინც გლაზგოში მინდა დავრჩე.

გიორგი ვაშაკიძე

ტორპედოზე ანთალია ალალია

დღეს დილით ქუთაისის „ტორპედო“ ანთალიაში გაემგზავრა. რიონისპირელები თურქულ კურორტზე ოც დღეს დაჰყოფენ და ამხანაგურ შეხვედრებსაც გამართავენ, თუმც მეტოქეების ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

ქუთაისში მთავარი ამბავი გია მეგრელაძის დაბრუნებაა. ორიოდ დღის წინ თბილისის „დინამოდან“ „ტორპედოში“ მიბრუნებული თავდამსხმელი ქუთათურებმა დიდის ამბით მიიღეს და, ბუნებრივია, ანთალიაშიც მიჰყავთ.

სხვა, აქამდე ცნობილ ახალწვეულებთან ერთად ოთარ გაბელიას შეკრებაზე რამდენიმე ახალგაზრდაც მიჰყავს. მათ შორის ქალაქის მერ გია გიორგაძის ვაჟი, ირაკლი გიორგაძეც, რომელზეც ამბობენ, კარგი მომავალი ელისო.

მოკლედ, „ტორპედოს“ 24-კაციანი სია ასეთია: *მირზა მერლანი, გიორგი გაბელია, ნუკრი რევიშვილი, დავით გამეზარდაშვილი, კახა ებრალიძე, ლევან მერებაშვილი, ირაკლი ჯანჯალია, გიორგი მემარნიშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, დავით ბოლქვაძე, გიორგი ნერგაძე, გიგლა ახალაია, მიხეილ სოსელია, ირაკლი გიორგაძე, კახა წუწუნავა, რევაზ ჯიქია, თენგიზ ჩიკვილაძე, გიორგი რევაზიშვილი, დავით ონიანი, რატი ბარაბაძე, კონსტანტინე კვეტენაძე, ერეკლე ზიგზივაძე, გიორგი მეგრელაძე, მამუკა ღონღაძე.*

კახა შალამბერიძე

ფეხბურთი

იტალია

სერია A. გადადებული მატჩი

მესინა 1:0 ატალანტა

ინგლისი

ასოციაციის თასი

1/32 ფინალი. გადათამაშება

ექსეტერი 0:2 *მანჩესტერი*

ბოსტონი 0:1 *ჰარტლპული*

ფულჰემი 2:0 უოტფორდი

გლეძბერნი 3:2 კარდიფი

შოტლანდია

ასოციაციის თასი

1/16 ფინალი. გადათამაშება

ჰარტსი 2:1 პარტიკი

ესპანეთი

სამეფო თასი. 1/8 ფინალი

საპასუხო მატჩები

ხეტაფე 3:2 *ოსასუნა* (0:2)

ბეტისი 0:0 მირანდესი (3:1)

ნუმანსია 1:0დ.დ.(პენ.5:3) ელჩე (0:1)

ბილბაო 6:0 ლანსაროტე (1:2)

რეალი 1:1 *ვალიადოლიდი* (0:0)

საფრანგეთი

ლიგის თასის 1/4 ფინალი

ოსერი 1:1დ.დ.(პენ.5:6, 0:0) *კაენი*

სტრასბური 3:2 კლერმონი

მონპელიე 1:2 *მონაკო*

ბელგია

II კლასი. გადადებული მატჩი

პატრო 0:0 რონსე

თასის მერვედფინალი

ბრიუგე 4:0 ოლიმპიკი

ლუვენი 3:2დ.დ.(2:2) ბევერენი

ლოკერენი 2:1 სენტ ტრუიდენი

მუსკრონი 0:1 *გენტი*

სტანდარდი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 0:0) *შარლერუა*

ეუპენი 0:7 *ლიერსი*

მონსი 0:1 *გენერსლოტი*

საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი. 1 მატჩები

ილისიაკოსი 0:1 პანიონიოსი

ოფი 1:1 კალამარია

ირაკლისი 1:0 ოლიმპიაკოსი

ამხანაგური მატჩი

ბეშიძთაში 1:0 შახტარი

თანამეგობრობის თასი 2005

მოსკოვი, 15-23 იანვარი

მეოთხედფინალი

გუშინ

პიუნიკი 0:2 *ნეფთჩი*

0:1 ადამია (67), 0:2 რზაევი (73)

ყაირათი 0:0(პენ.2:3) *კაუნასი*

ნახევარფინალი

21 იანვარი

კაუნასი — ლოკომოტივი

ნეფთჩი — დინამო კიევი

უთბილისო მოსკოვში ადამია გოლობს

ექსპერტჯორჯიელი გიორგი ადამია ბაქოს „ნეფთჩიშიც“ ყოჩობს. ქართველმა ფორვარდმა სომხურ „პიუნიკთან“ მოაგებინა აზერბაიჯანელებს, რომლებიც ალბათ დიდხანს იტრაბახებენ მეზობლების (თანაც როგორი მეზობლების) გამწარებით. შეგახსენებთ, ადამიამ მიმდინარე ტურნირზე მეოთხე გოლი მიითვალა და ხვალ ალეკო ამისულაშვილის კიევური „დინამოს“ დაცვასაც თუ გაარღვევს, ბარაქალა მას და მის „ნეფთჩის“...

„თბილისის“ გამამწარებელმა ლიტვურმა „კაუნასმა“ კი ოდენ პენალტებით აჯობა ყაზახურ „ყაირათს“. ბალტიისპირელთა რეალური ძალა ნახევარფინალში გამოჩნდება — მალხაზ ასათიანისა და მათე ღვინიანიძის მოსკოვის „ლოკომოტივი“ სულ სხვა დონეა და ამ გასაცოდავებულ ტურნირზე, ვინძლო, „კაუნასს“ კარგი დღე არ დაადგეს...

ილია ნანოგაშვილი



გადო ჯიბლაძის ფოტო

გიორგი ადამიამ აზერბაიჯანელებს სომხეთზე გაამარჯვებინა



ჯერ ბოლნისი, მერე ბელგრადი

დინამო კვიპროსზე სიონმა გაუშვა

დღეს თბილისის „დინამო“ ათდღიან შეკრებაზე კვიპროსზე გაემგზავრა. მწვრთნელი გია გეგუჩაძე კუნძულზე 27 ფეხბურთელს იახლებს და ოთხ მეტოქესთან ათამაშებს. „დინამო“ ჯერ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ გაეჯიბრება, შემდეგ „ლუჩ-ენერგიას“, „სიტარდს“ და „არჯეშს“. თბილისელები შინ 30 იანვარს დაბრუნდებიან

გუშინ „დინამომ“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოსამზადებელი პერიოდის პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. თბილისელებმა ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლეს, რომელიც ასევე თბილისში ვარჯიშობს. შეხვედრა 0:0 დამთავრდა და არც არის გასაკვირი, რომ დიდი ვერაფერი სანახაობა იყო. გუნდები გახურებულ სამზადისში არიან და მათ ამ ეტაპზე უნაკლოდ თამაშს, აბა, ვინ მოსთხოვდა, თუმც, სათქმელია, რომ დატვირთვების კვალობაზე საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა „სიონმა“.

ბოლნისელებმა თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყეს: ბობღიაშვილი, კობაური, ღამბაშიძე, ცქვიტაია, ადუაშვილი, გ. დოლიძე, შელია, ნ. ლაბაძე, ალავიძე, გოგოლაძე, ზ. არჩვაძე.

„დინამოს“ თავკაცმა მრავალნაცად ტაქტიკურ სქემას 3-4-3 მოსამზადებელი ეტაპის პირველ შეხვედრაში უღალატა და ამჯერად გუნდი 3-5-2 თარგზე გააწყო: ზოიძე; სალუქვაძე-სილაგაძე-ჭიჭვეიშვილი; ქუცურუა-კანკავა-გრიგალაშვილი-კანდელაკი-კვირკველია; კაკალაძე-მელქაძე. მეორე ტაიმში გრიგალაშვილის ნაცვლად შალამბერიძემ ითამაშა. დანარჩენი დინამოელები კი მოგვიანებით „დინამო 2“-ს გაეჯიბრნენ.

კობა შალამბერიძის პირველი დინამოური მატჩი

გუშინდელი ამბებიდან ისიცაა სათქმელი, რომ 3 ოქტომბრის მერე პირველად ითამაშა „დინამოს“ გამთამაშებელმა შოთა გრიგალაშვილმა, რომელმაც ბათუმში მატჩისას ფეხი მოიტეხა და მკურნალობდა.

დღეს კი „დინამო“ კვიპროსზე ამ 27 ფეხბურთელით გაემგზავრა: *ირაკლი ზოიძე, ზურაბ მამალაძე, ირაკლი თოთლაძე, ლაშა სალუქვაძე, გიორგი შაშიაშვილი, დავით ჭიჭვეიშვილი, ლევან სილაგაძე, დავით გიგაური, ლევან ხმალაძე, ილია კანდელაკი, შოთა კაშა, ჯაბა კანკავა, დავით კვირკველია, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი ქუცურუა, სეზარ რომერო, გიორგი ნემსაძე, ლაშა ნოზაძე, ვლადიმერ დვალიშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, კობა შალამბერიძე, ლაშა ჭელიძე, ჯაბა დვალი, ლევან მელქაძე, მიხეილ კაკალაძე, კახა მახარაძე, კახა ალადაშვილი.*

საინტერესოა, რომ „დინამოს“ კვიპროსზე მიჰყვება გიორგი შაშიაშვილიც, რომელსაც ავსტრიულ „სუპერფუნდთან“ თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი ვერმანულ საშუამავლო სააგენტო „სპორტვიზიონის“ მოძალებული მადის გამო ჩაეშალა და ამ სეზონს „დინამოს“ მცველი ალბათ საქართველოს ჩემპიონატში ჩაამთავრებს.

გუნდს კუნძულზე მოსამზადებლად მიჰყვება ფიფა-უეფასგან დისკვალიფიცირებული კახა ალადაშვილიც, რომლის „შეწყალების“ თაობაზე „დინამომ“ ლოზანის სპორტულ-საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. გუშინდელ ამხანაგურ მატჩში ალადაშვილს სწორედ დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია, მას ასეთი რანგის შეხვედრებშიც არა აქვს მონაწილეობის უფლება. თუმც „დინამო“ იმედოვნებს, რომ ალადაშვილს სასჯელი მალე შეუმსუბუქდება და ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან თამაშის ნებას დართავენ.

კოტა ინასარიძე
ბადრი კეთილაძის *ფოტოები*

ავსტრიამოვლილი გიორგი შაშიაშვილი სეზონს „დინამოში“ ჩაამთავრებს

ვლადიკავკაზურ „ალანიას“ ფინანსურად თითქოს შარშანდელივით აღარ უჭირს. გუნდი თურქულ შეკრებაზეა, ტესტ-მატჩებს მართავს და ახალ-ახალ ფეხბურთელებსაც სინჯავს. თუმც „ალანიას“ კვლავ მოუწესრიგებელი აქვს საკონტრაქტო საკითხები — აგერ, უკვე რამდენი მოთამაშე ჰყავს შეგულებული და ოფიციალურად კლუბში ჯერ ერთიც არ ჩარიცხულა

თედეევმა, გურდული ჩვენთვის ზედგამოჭრილიაო

„ალანიამ“ ბოლო შეხვედრა რუსული პრემიერლიგის დებიუტანტ „ტომთან“ 0:2 წააგო. ფეხმტკივან ვიტალი დარასელიას არ უთამაშია, ლევან გვაზავა კი მე-60 წუთზე შევიდა მინდორზე.

ოსური კლუბის თავკაცი ბახვა თედეევი წუხს, ასეთი გუნდით პრემიერლიგაში არაფერი გამოგვივაო და განსაკუთრებით თავდამსხმელთა ნაკლებობას უჩივის: „დღეს ჩემს გუნდში გოლის გამტან კაცს ვერ ვხედავ. იძულებული ვიყავი, ფორვარდად გვაზავა მეთამაშებინა, რომელმაც მთელი თავისი კარიერა ნახევარდაცვაში გაატარა“ — ამბობს თედეევი. „ალანიას“ გენერალური დირექტორი ალბეგოვი კი აცხადებს, ორ ხმაურიან ტრანსფერს მალე გავჩარხავო.

დღეს „ალანია“ „არგენტინოს ხუნიორსთან“ წაიამხანაგურებს და, ალბათ, ლადო ბურდულიც ითამაშებს. ვლადიკავკაზელები ქართველ ნახევარმცველს ყოველგვარი გასინჯვის გარეშე კი სთავაზობენ კონტრაქტს, მაგრამ ყველაფერი „ალანიასა“ და „დინამოს“ შორის მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული.

სხვათა შორის, ოსურ კლუბში ვარჯიშობს ნიგერიის ნაკრების ნახევარმცველი ჯენინგს კრისტოფერი, თუმც თედეევი მას კარგ შეფასებას არ აძლევს, ხოლო ბურდულზე პირდაპირ ამბობს — თამაშის საკუთარ თავზე აღება შეუძლია, არაორდინარული მანერით გამოირჩევა და „ალანიას“ ამგვარი ფეხბურთელი ბევრი არ ჰყავსო.

ილია ნანოგაშვილი

სანამ ზემოთ, მანამ ქვემოთ

„სიონის“ თავკაცი გიორგი ყიფშიძე ჯერაც გაურკვევლობაშია

ბადრი კეთილაძის ფოტო

მაინცდამაინც ბევრი სიახლეაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ცვლილებები ბოლნისის „სიონსაც“ ეტყობა. კლუბის პრეზიდენტი შოთა რეხვიაშვილი რომ გადადგა, გუშინაც გამცნეთ და ამის გამო გიორგი ყიფშიძემაც არ იცის, კვლავაც ის გაწვრთნის „სიონს“ თუ კინმე სხვა.

მოკლედ, სანამ „სიონი“ „ზემოთ“ დალაგდება, მანამდე „ქვემოთ“, მინდორზეც არანაკლები გადაადგილებებია. გუნდში არ არიან გია კილასონია, გიორგი ფეიქრიშვილი, დმიტრი ვერემჩუკი, პავლე ჩოხელი და დავით ასლანაძე. ამათგან მხოლოდ ფეიქრიშვილის ასავალ-დასავალს მივაკვლიეთ — დიდი შანსია, ეს ფეხბურთელი „ბათუმში“ ჩაირიცხოს. სხვები კი ახალი გუნდის ძიებაში არიან, თუმც ისიც სათქმელია, რომ „სიონს“ ერთისთვისაც არ მიუცია გათავისუფლების ფურცელი.

ახალ სახეებზეც ვთქვათ: ქუთაისის „ტორპედოდან“ წამოსული მცველი ლაშა ადუაშვილი, „ზესტაფონის“ ყოფილი მეკარე გიორგი ცინაძე და ექსბათუმელი თემურ მალანია. მათი „სიონში“ დარჩენა-არდარჩენა დღეების ამბავია.

კახა შალამბერიძე



ფოლკერ ფინკეს მეგობრობა: დამეხმარე და დაგეხმარები

საქართველოს ეროვნული ნაკრების 23 წლის მცველი ოთარ ხიზანეიშვილი დეკემბერში მოსკოვის „დინამოდან“ იმიტომ წავიდა, რომ ბუნდესლიგაში ეთამაშა — „ფრაიბურგი“ მეორე წრიდან სამი ქართველით, ალექსანდრე იაშვილით, ლევან ცქიტიშვილით და ოთარ ხიზანეიშვილით შეუდგება ბუნდესლიგიდან არგავარდნისთვის ბრძოლას.

გუშინ სწორედ ხიზანეიშვილს დავურეკეთ ფრაიბურგში...

— რუსული პრემიერლიგიდან ბუნდესლიგაში გადასვლა ერთია, მაგრამ „ფრაიბურგი“ ახლა ბოლო ადგილზეა და ასეთ გუნდში მისვლა ალბათ სარისკო იყო...

— „ფრაიბურგში“ პირველ რიგში იმიტომ გადავედი, რომ ბუნდესლიგაში მსურს თამაში — აქ უფრო მეტი შანსია, თამაშს მოუმატო, ვიდრე რუსეთში. გარდა ამისა, გერმანიაში სულ სხვა ცხოვრებაა და უფრო მეტი საშუალება მაქვს იმისთვის, რომ მხოლოდ ფეხბურთზე ვიფიქრო. რაც შეეხება ბოლო ადგილს, ჯერ არავინ იცის, „ფრაიბურგი“ გავარდება თუ არა.

— მოსამზადებელი ეტაპი პორტუგალიაში გაიარეთ — როგორ შეეწყვე ახალ გარემოს და სიტუაციას?

— ნორმალურად, ადაპტაციას იაშვილი და ცქიტიშვილი მიადვილებენ. გერმანული ჯერ არ ვიცი, მაგრამ მალე ენას გავიტეხავ.

— მიგაჩნია, რომ შენი სათამაშო სტილი ბუნდესლიგას მოერგება?

— გერმანული ფეხბურთი ყოველთვის მომწონდა, მაგრამ ის ჩემთვის ზედგამოჭრილია თუ არა, ეს მალე გამოჩნდება.

— ბუნდესლიგელ ფორვარდებთან ალბათ უფრო რთული იქნება თამაში...

— ასე ხელაღებით ამას არ ვიტყოდი, თუმც, ცხადია, გერმანიაში უფრო ძნელი იქნება ფორვარდებთან ბრძოლა.

— „ფრაიბურგის“ დამრიგებელი ფოლკერ ფინკე როგორ დაგხვდა, ნიშანდობლივი რა გითხრა?

— არ მეგონა, ფინკე ასე თბილად და მეგობრულად თუ მიმიღებდა, მითხრა, დამეხმარე და მეც დაგეხმარებიო.

— პორტუგალიაში ორი საკონტროლო მატჩი ითამაშეთ და „ფრაიბურგზე“ რა შთაბეჭდილება დაგრჩა?

— „ფრაიბურგი“ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს და ისეთი გუნდი ნაღდად არ არის, ბუნდესლიგაში ბოლო ადგილზე რომ იყოს. ფეხბურთელები კი ძალიან წესიერი, თავმდაბალი ხალხია.

— უჩანს საქმეს ისეთი პირი, რომ განახლებული ბუნდესლიგის პირველივე ტურში, 22 იანვარს, დებიუტი გექნება როსტოკის „ჰანზასთან“?

— ყოველ შემთხვევაში, საამისოდ მზად ვარ.

დავით თავართქილაძე

ჭელიძე თბილისშია და თბილისშია

მოსკოვური „თანამეგობრობის თასიდან“ დაბრუნებულ „თბილისს“ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეც ჩამოჰყვა, არადა, თუ გახსოვთ, იგი იქ დარჩენას და იური სიომინის „ლოკომოტივთან“ კონტრაქტის გაფორმებას გეგმავდა.

ჩანს, ეს საქმე არ გამოვიდა — ჩვენთვის ჯერაც უცნობ მიზეზთა გამო გიორგი ჭელიძე თბილისში ჩამოვიდა და „ლოკომოტივის“ ვარიანტიც დროებით გადაიდო.

შევიტყვეთ ისიც, რომ დიდი შანსია, გიორგიმ სეზონი „თბილისში“ ჩაამთავროს, თუმც ოფიციალურად ეს ინფორმაცია ჯერ არც ერთ მხარეს არ დაუდასტურებია.

ლუკა თალაკვაძე

ისევ დავეშვით

ბოლო ერთ თვეში სანაკრებო თამაშები კანტიკუნტად თუ იმართება და ამიტომაც ფიფას რეიტინგში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. საქართველოც, ცხადია, ისევ ასეულს მიღმაა და თანაც ორი ადგილით ჩამოქვეითდა.

იმედია, სარეიტინგო კიბეზე თებერვალში ლიტვასთან მოგებით ავინაცვლებთ, მერე კი ბობოქარი მარტი გველის — თურქეთსა და საბერძნეთის ვმასპინძლობთ. ჯერჯერობით კი, ჩვენი შესარჩევი ჯგუფის მეტოქეებიდან მხოლოდ ყაზახეთს ვუსწრებთ...

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

1	1	ბრაზილია	842	14	15	*თურქეთი*	711
2	2	საფრანგეთი	791	16	19	გერმანია	710
3	3	არგენტინა	785	17	16	ურუგვაი	707
4	4	ჩეხეთი	777	18	18	*საბერძნეთი*	706
5	5	ესპანეთი	764	19	17	იაპონია	703
6	6	ჰოლანდია	757	20	20	ირანი	695
7	7	მექსიკა	753				
8	8	ინგლისი	751	57	57	*უკრაინა*	580
9	9	პორტუგალია	747				
10	10	იტალია	738	86	86	*ალბანეთი*	515
11	11	აშშ	726				
12	12	ირლანდია	716	106	104	საქართველო	455
13	13	შვედეთი	715				
14	14	*დანია*	711	149	147	*ყაზახეთი*	313

I ჯგუფი - ადგილი, II - ადგილი წინა თვეში
III - ქვეყანა, IV - ქულა

გიორგი ჭელიძე: არწასაგები წავაგეთ

ლუის ცაკარიასის „თბილისი“ ალბათ 23 იანვრამდე აპირებდა მოსკოვში დარჩენას. თანამეგობრობის თასის ფინალი სწორედ ამ დღეს უნდა გაიმართოს, თუმცა ცაკარიასის ამქარი უკვე თბილისშია. თბილისელთა ახალგაზრდულმა გუნდმა ჯგუფურ ეტაპს ვერ გადააბიჯა და ნაადრევად მოუხდა მოსკოვური მანეჟის დატოვება. აბა, რომელი ბობოლათა სარბიელი თანამეგობრობის თასია. ჩადიან პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების გუნდები და ყოველგვარი ფინანსური სტიმულის გარეშე თამაშობენ. რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი პირობას იძლევა, გაისად ფიფა თავის სპონსორებს — „ჰიუნდაის“ ან „მასტერკარდს“— სთხოვს ტურნირის დაფინანსებასო, მაგრამ, მართალი რომ ვთქვათ, საეჭვო ჩანს ეს ამბავი...

თბილისი მოსკოვში პრაქტიკაზე ყოფილა

„თბილისმა“ ტაშკენტის „ფახთაქორის“ ძლევით დაიწყო ტურნირი, თუმც მეორე ტურში „კაუნასს“ ვერაფერი მოუხერხა და, შესაბამისად, მესამე მატჩს ყირგიზულ „დორდოისთან“ აზრი დაეკარგა.

ერთი კია, როგორც „თბილისის“ ნახევარმცველი *გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე* ამბობს, გუნდი მაინცდამაინც ჩემპიონობისთვის არ ჩასულა მოსკოვში. უბრალოდ, საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის წინ კარგად მოვემზადეთ, სათამაშო პრაქტიკა მივიღეთ. ეს პირველი ეტაპი იყო, მეორე კი ანთალიაში გვექნება. თურქულ კურორტზე 27 იანვარს მივდივართ და ალბათ ორი კვირა დავრჩებით. როგორც გავიგე ანთალიაში შეიძლება მოსკოვის „ლოკომოტივს“ შევხვდეთ, რაც ძალიან წაგვადგება. ერთი სიტყვით, თანამეგობრობის თასი პირველ რიგში პრაქტიკა იყო და შედეგს დიდად არ ვჩივით, თუმცა ჯგუფიდან მაინც უნდა გავსულიყავით — ამბობს ჭელიძე და „კაუნასთან“ მატჩს იხსენებს, არ უნდა წაგვეგო.

...ჯერ ხოჯავას აჩვენეს წითელი ბარათი, მერე გეწაძემ მეტოქეს ფეხი ოდნავ მიარტყა და იმანაც არტისტულად გააფორმა. თამაში მეტწილად ლიტველების ნახევარზე იყო, ოთხი-ხუთი სახიფათო მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მათი ერთი კონტრშეტევა კი ძვირად დაგვიჯდა. ეგ კი არა, „ფახთაქორთან“ უფრო იყო წასაგები თამაში: ერთხანს მაგრად დაგვიჭირეს ბურთი და მომენტებიც შეგვიქმნეს. ბოლო ტურში კი „დორდოისთან“ 2:0-ს ვიგებდით და იმდენად დიდი უპირატესობა გვქონდა, რომ უნებლიეთ მოვეშვით, რითაც მეტოქემ ისარგებლა.

რაც შეეხება თავად ტურნირს, მის დონესა და მაყურებლის დასწრებას, ამაზე ჭელიძემ ეს თქვა:

— აუჰ, ეს რა ვნახეო, ვერ იტყოდი. როგორც იცით, დამკვირვებლები ჩამოდიან სხვადასხვა კლუბებიდან, თორემ რა დიდი პრესტიჟი ამ ტურნირს აქვს. მაყურებლები ტრიბუნებს არ ავსებდნენ, მაგრამ სიცარიელეც არ ყოფილა. მოკლედ, დიდი შთაბეჭდილებები არ დაგვრჩენია. თანამეგობრობის თასის ადრინდელ გათამაშებებთან შედარებაც არ შეიძლება...

ბოლოს „ნუგზარიჩი“ ჭელიძე თავის გეგმებზეც გვესაუბრა, ამ სეზონში აუცილებლად „თბილისში“ დავრჩები, საქართველოს თასის მოსაგებად ვიბრძოლებთ და ჩემპიონატშიც, მაღალი ადგილი უნდა დავიკავოთო. „თბილისის“ რომელიმე ფეხბურთელის შესაძლო ტრანსფერზე კი სიახლე არაფერია...

ილია ნანოგაფშვილი

ცუნამით დაზარალებულთ ქართველიც შეეწევა

ყველა ბობოლა ორგანიზაცია თავს მოვალედ თვლის აზიაში ცუნამით დაზარალებულებს ხელი გაუმართოს და ბევრ ნულიანი თანხა გადაურიცხოს.

ასეთ ქველმოქმედ ორგანიზაციათა შორის არიან ფიფა და უეფა, რომლებმაც საქველმოქმედო მატჩის ორგანიზება განიზრახეს, შემოსავალს კი მთლიანად სოლიდარობის ფონდს გადასცემენ.

საქველმოქმედო მატჩი, რომელსაც „ფეხბურთი იმედისთვის" უწოდეს, 15 თებერვალს ბარსელონაში, „კამპ ნოუზე" გაიმართება. თამაში თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება.

ამ მატჩში მონაწილეობისთვის 50-ზე მეტი ფეხბურთელია მიწვეული, რომელთა ვინაობასაც ქვემოთ გაგაცნობთ, გუნდებს კი პირობითად შევჩენკოსა და რონალდინიოს ნაკრებები ერქმევათ.

მოგეხსენებათ, უკრაინელი ანდრეი შევჩენკო ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელია, ბრაზილიელი რონალდინიო — მსოფლიოსი. ჩვენთვის სასიამოვნო კი შევჩენკოს ნაკრებში კახა კალაძის მიწვევაა.

შევჩენკოს ნაკრები

მეკარეები

ჯანლუიჯი ბუფონი	იუვენტუსი
იკერ კასილიასი	რეალი

მცველები

კახა კალაძე	მილანი
კრისტიან კარამბუ	სერვეტი
ვენსან კომპანი	ანდერლეხტი
პაოლო მალდინი	მილანი
კარლეს პუიოლი	ბარსელონა
იაპ სტამი	მილანი
ლილიან ტურამი	იუვენტუსი

ნახევარმცველები

რობერტო ბაჯო	კარიერა დაასრულა
მიხაელ ბალაკი	ბაიერნი
დევიდ ბექემი	რეალი
დეკო	ბარსელონა
სტივენ ჯერარდი	ლივერპული
პაველ ნედვედი	იუვენტუსი
სერგეი სემაკი	ცსკა
ფრანეჩესკო ტოტი	რომა
პატრიკ ვიეირა	არსენალი
იოჰან ფოგელი	პსვ ეინდჰოვენი
ზინედინ ზიდანი	რეალი

თავდამსხმელები

ანდრეი შევჩენკო	მილანი
ტიერი ანრი	არსენალი
რაულ ი	რეალი
ალესანდრო დელ პიერო	იუვენტუსი

მწვრთნელები: მარჩელო ლიპი და არსენ ვენგერი

რონალდინიოს ნაკრები

მეკარეები

დიდა	მილანი
იდრის კამენი	ესპანიოლი

მცველები

კაფუ	მილანი
ივან კორდობა	ინტერი
კრისი	ლიონი
გაბრიელ ჰაინცე	მანჩესტერ იუნაიტედი
რადი ჯაიდი	ბოლტონი
სამუელ კუფური	ბაიერნი
ლუსიო	ბაიერნი
რაფაელ მარკესი	ბარსელონა
ლუკა რადებე	ლიდსი
ხავიერ ძანეტი	ინტერი

ნახევარმცველები

რონალდინიო	ბარსელონა
ესტებან კამბიასო	ინტერი
ბრეტ ემერტონი	ბლექბერნი
მიკაელ ესიენი	ლიონი
ჟუნინიო პერნამბუკანო	ლიონი
კაკა	მილანი
ლი ტაი	ევერტონი
ჰიდეტოში ნაკატა	ფიორენტინა
დუ-რი ჩა	აინტრახტი
დელრონ ბაკლი	არმინია
მეჰდი მაჰდავიკია	ჰამბურგი

თავდამსხმელები

რონალდო	რეალი
ადრიანო	ინტერი
სამუელ ეტოო	ბარსელონა
დიდიე დროგბა	ჩელსი
ობაფემი მარტინსი	ინტერი

მწვრთნელები: კარლოს ალბერტო პარეირა და ფრანკ რაიკარდი

დაიღალა კანი, დაეღალა კანჭი

„ინტერის" ფორვარდი ადრიანო ორი კვირის მანძილზე ვერ ითამაშებს. მიზეზი: კანჭის ტრავმა, რომელიც, ეტყობა, გადაღლამ გამოიწვია

საქმე ისაა, რომ ბრაზილიელმა ფორვარდმა მიმდინარე სეზონში სერია A-ს ყველა შეხვედრაში ითამაშა და ეს, კანჭს რომ თავი დავანებოთ, მის სიმკვირცხლესაც ძალიან დაეტყო. ადრიანო ბოლო პერიოდში მძიმდებოდა, ხოლო, რაც 2005 წელი დაიწყო, გოლი არ გაუტანია.

ერთი სიტყვით, „ინტერის" ექიმები ამბობენ, რომ ბრაზილიელისთვის ახლა უპრიანია დასვენება და მკურნალობა, რადგან სამშაბათის ვარჯიშზე დაღლილი კანჭი ამოიტრიალა.

ადრიანოს არყოფნაში სავარაუდოდ ობაფემი მარტინსი (№30) ითამაშებს

როგორც მოგახსენეთ, თუ ადრიანო „კიევოსთან" თამაშს გამოტოვებს ეს იქნება პირველი შემთხვევა — ოღონდ სერია A-ში — როდესაც იგი ვერ ითამაშებს. ყველა შეჯიბრებაში ერთად კი ადრიანოს მიმდინარე შედეგი 29 მატჩიდან 25-ში მონაწილეობაა.

„პარმას" და „ფიორენტინას" ყოფილი მოთამაშის ორი გამოტოვებული შეხვედრა ჩემპიონთა ლიგაში სწორედ დისკვალიფიკაციის შედეგი იყო, ხოლო იტალიის თასის ორივე მატჩისას „ბოლონიასთან", მწვრთნელმა უბრალოდ დაასვენა.

ადრიანოს გასულ ზაფხულსაც არ მოუწია დიდმა არდადაგებმა — იტალიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იგი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში „კოპა ამერიკაზე" წავიდა და გუნდის ტრიუმფში გადამწყვეტი როლიც ითამაშა.

და ვინ უნდა ათამაშოს რობერტო მანჩინიმ ადრიანოს არყოფნაში? ყველაზე სავარაუდო და მარტივად ამოსაცნობი ვარიანტია ნიგერიელი ობაფემი მარტინსის შეწყვილება კრისტიან ვიერისთან, თუმცა ნუ დაგვავიწყდება ურუგვაელი ალვარო რეკობას ალტერნატივაც.

ამასობაში კი, „რეჯინასთან" მოულოდნელი და უსიამოვნო ფრის (სერია A-ში მეცამეტე) შემდეგ, ივან კორდობამ გულშემატკივართა გამხნევება, სცადა:

„ყველაფერზე მნიშვნელოვანი დაულალავი შრომაა. თითოეული ვარჯიში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, ოორემ ამდენი მატჩების გადამკიდე საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი წვრთნის საშუალება ხშირად არც კი გვაქვს. სეზონის დასაწყისში სამწუხაროდ, ძალიან ბევრი გოლი გავუშვეთ, მაგრამ დაცვაში თამაშს აშკარად ვაუმჯობესებთ და ეს, ბოლოს ნაჩვენები შედეგებიდანაც ჩანს".

პაპუნა კედია

კოსტაკურტას ორმოცი მომავალ წელს იქნება

კლუბების ვებ-გვერდებზე ხშირად წააწყდებით ხოლმე საინტერესო ცნობებს. ასე მაგალითად, „მილანის" ვებ-გვერდზე კლუბის ასეთი განცხადება გამოქვეყნდა: „ალესანდრო კოსტაკურტამ კონტრაქტი 2006 წლის 30 ივნისამდე გააგრძელა. ეს ნიშნავს, რომ თავის მეორმოცე დაბადების დღეს ჩვენთან აღნიშნავს".

კოსტაკურტა ორმოცისა გაისად 24 აპრილს მოიყრება და თუ არ გადათქვა, ფეხბურთელის კარიერასაც ამ ასაკში დაანებებს თავს.

ისე კი, თანამედროვე ფეხბურთში, როცა მოთამაშეები წინდებივით იცვლიან კლუბებს, კოსტაკურტა შესაშური ერთგულებით ემსახურება „მილანს". ეს სეზონი მისთვის მეთვრამეტეა „სან სიროზე". რამდენიმე ხნის წინ კოსტაკურტა ამერიკაშიც წავიდა, კარიერის ბოლო წლების გასატარებლად, მაგრამ „მილანს" ტრავმიანობამ შეუტია, ხალხი დააკლდა და კოსტაკურტაც უმალ დაუბრუნდა მშობლიურ კლუბს.

და ერთიც: ამ სეზონში, როცა კოსტაკურტა მოედანზეა, „მილანს" ერთი გოლიც არ გაუშვია.

ირაკლი ნინიძე



ლუიჯი მეორედაც პირველია

„იუვენტუსის“ და იტალიის ნაკრების კარის დარაჯი ჯანლუიჯი ბუფონი ზედიზედ მეორედ დაასახელეს წლის მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ.

საუკეთესო გოლკიპერის ვინაობას ტრადიციულად გერმანიაში დაფუძნებული „ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია“ ასახელებს. სერია A-ს მეკარეებიდან კიდევ ერთი, „მილანის“ ბრაზილიელი გოლკიპერი, ნელსონ დიდა მოხვდა სამეულში — მესამეზე გავიდა, ხოლო მეორე იყო ლონდონური „ჩელსის“ ჩეხი მეკარე ეროვნების შესატყვისი გვარით — პეტრ ჩეხი იყო.

„ძალიან სასიამოვნო გრძნობაა, მით უფრო, რომ ასეთ ჯილდოს ზედიზედ მეორე წელიწადია მაძლევენ — სიამაყით განაცხადა „იუვეს“ კარის მცველმა, რომელსაც იანვარში 27 წელი შეუსრულდა — და ვინაიდან საუკეთესო მეკარის ვინაობა სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით ირკვევა, ეს იმას ნიშნავს, რომ ვისაც წარმატების სურვილი აქვს, მაღალ დონეზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა თამაშობდეს. ასეთ მეკარეზე შეიძლება ითქვას, რომ იგი გაწონასწორებულია“.

რაკიდა სამეულიდან ორი იტალიაში მოთამაშე გოლკიპერია, მოვუსმინოთ მეჩხ ადგილზე გასულ კიდევ ერთი აქაური მეკარის, „ინტერის“ მოქმედი და იტალიის ნაკრების ყოფილი ბურჯის, ფრანჩესკო ტოლდოს აზრსაც.

„ვფიქრობ, მეთექვსმეტე ადგილზე გასვლა ძალიან კარგი მიღწევაა, რადგან ამ სიაში მსოფლიოს უძლიერესი მეკარეები ხვდებიან. განსაკუთრებით ჩეხის მეორეობამ გამახარა. იქნებ ჩეხი სხვებზე ნაკლებ პოპულარული იყოს, მაგრამ ის რომ უძლიერესთაგანია, ამის ვერ დანახვა გამორიცხულია. დიდაც თვალშისაცემი დონის გოლკიპერი გახლავთ“ — თქვა ტოლდომ.

პაპუნა კედია

2004 წლის საუკეთესო მეკარეთა ათეული

1	ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი, იტალია)	185 ქულა
2	პეტრ ჩეხი (ჩელსი, ჩეხეთი)	125
3	დიდა (მილანი, ბრაზილია)	78
4	იკერ კასილიასი (რეალი, ესპანეთი)	75
5	ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი)	64
6	ოლივერ კანი (ბაიერნი, გერმანია)	39
7	რობერტო აბონდანსიერი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)	31
8	ვიტორ ბაია (პორტუ, პორტუგალია)	29
9	ხუან კარლოს ენაო (ონსე კალდასი, კოლუმბია)	29
10	სანტიაგო კანისარესი (ვალენსია, ესპანეთი)	23

ზეზეშვით!
მასკერანო მედიას დაემუქრა



არგენტინელი „რივერ პლეიტის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი ხავიერ მასკერანო გუნდიდან მისი შესაძლო წასვლის შესახებ გავრცელებულმა მუდმივმა ჭორებმა დაღალა. ჭორები კი იცოცხლეთ ისეთია, მოთმინებიდან მართლა რომ გამოგიყვანს კაცს. სად აღარ გადაჰყავთ მასკერანო, ხან „ბარსელონაში“, ხან „რეალში“, „დეპორტივოში“, ბრაზილიურ „კორინთიანსში“, ლონდონურ „ჩელსიში“, ხანაც კიდევ „იუვენტუსში“. ახლა კიდევ თურმე მილანური „ინტერის“ ვარიანტიც გამოჩენილა — „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით იტალიელები მზად არიან, ხავიერის სანაცვლოდ არგენტინულ კლუბს 15 მილიონი ევრო გადაუხადონ.

მოკლედ, გადაირია ახალგაზრდა ნახევარმცველი და გუშინ იქაური „ლა ნასიონის“ ჟურნალისტს მკაცრად ელაპარაკა: „ჩემს შესახებ ამდენმა მითქმა-მოთქმამ ძალიან დამღალა. საშობაო არდადეგების დროს გაზეთებმა ხან ერთ გუნდში გადამიყვანეს და ხანაც მეორეში. ყველაზე გასაკვირი კი სწორედ ის არის, რომ რატომღაც „ახალი ტრანსფერის“ ამბავს მე ყოველთვის ყველაზე გვიან ვიგებ. მსურს ამ ყველაფერს ერთხელ და სამუდამოდ მოვუღო ბოლო და ვთქვა, ახლა მხოლოდ „რივერზე“ ვფიქრობ, თავი დამანებეთ, არსადაც წასვლას არ ვაპირებ თუ შემეშვებით, ხომ კარგი, თუ არა და, მედიასთან კავშირს გავწყვეტ“.

ლადო ხოფერიძე

ინგლისური „მიდლსბროს“ დაცვაში პრობლემები შეექმნა. გასულ უქმეებზე „ევერტონთან“ მატჩში უგო ეჰიოგუ დაშავდა. მას დაახლოებით ორი კვირა მოუწევს დასვენება. აღსანიშნავია, რომ 32 წლის ეჰიოგუ მიმდინარე სეზონში ტრავმებმა გააწამა, თუმც ექიმების თქმით, ამჯერად საგანგაშო არაფერია. იმავე შეხვედრაში „ბოროს“ მეორე მცველი, ჰოლანდიელი მიხაელ რაიციგერიც დაშავდა, მაგრამ შედარებით მსუბუქად.

შვეიცარიის ნაკრების ნახევარმცველი ჰაკან იაკინი ეგებ „ბოკა ხუნიორსში“ აღმოჩნდეს. ფეხბურთელს „შტუტგარტის“ თავკაც მათიას ზამერთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს და ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ზის. ამის გამო იაკინი გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. პირველად მისით ესპანური „მურსია“ დაინტერესდა, ახლა კი შვეიცარიელის ერთი წლით თხოვების სურვილი „ბოკამაც“ გამოთქვა.

ინგლისური „პორტსმუთი“ ბერძნული „პანათინაიკოსის“ მეკარის კონსტანტინოს ხალკიასის შეძენას აპირებს. 30 წლის ევროპის ჩემპიონს ათენელთა ხელმძღვანელობასთან უსიამოვნება მოუვიდა და ახალ კლუბს ამიტომ ეძებს. „პორტსმუთის“ თავკაც ველიმირ ზაიჩს კი გამოცდილი მეკარის ყიდვა უნდა. მხარეებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება და, ბრიტანული პრესის ცნობით, მალე ტრანსფერიც შედგება.

რუსული ცსკა-ს ნახევარმცველ სერგეი სემაკის ფრანგულ პსჟ-ში გადასვლას აღარაფერი უკლია. მართალია, კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ხანგრძლივი მოლაპარაკება ლოგიკური დასასრულისკენ მიდის. რუსი ფეხბურთელი უკვე პარიზშია და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. ახლა სემაკი პსჟ-ს ხელმძღვანელობასთან პირადი კონტრაქტის დეტალებს აგვარებს. სემაკის სატრანსფერო ფასი და შეთანხმების სხვა პირობები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

ესპანური „რეალის“ თავდამსხმელი მაიკლ ოუენს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მობეზრდა. ინგლისელმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ შეცვლაზე შესვლისას ფაქტობრივად, ყოველთვის გამაქვს გოლები, ძირითადში მაინც რონალდო და რაული თამაშობენო.

ინგლისური „ფულემი“ ბერძნული „პანიონიოსის“ მეკარე იაროსლავ დრობნით დაინტერესდა. 25 წლის გოლკიპერი ედვინ ვან დერ სარის შემცვლელად მოიაზრება, რომელიც ლონდონური კლუბის დატოვებას აპირებს. დრობნის შეძენა განსაკუთრებით „ფულემის“ თავკაც კრის კოულმენს სურს, თუმც კლუბის აგენტები პარალელურად პორტუგალიელ რიკარდუ ბაპტისტასთან აწარმოებენ მოლაპარაკებას.

ბელგიური „ანდერლეხტის“ ამომავალმა ვარსკვლავმა ჟერარ ლიფონდიამ ორ ინგლისურ კლუბში გადასვლა იუარა. 15 წლის ფეხბურთელს კონტრაქტს „არსენალი“ და „ლიდსი“ სთავაზობდნენ, მაგრამ ახალგაზრდა ნახევარმცველმა „ანდერლეხტში“ დარჩენა არჩია. ლიფონდია ბრიუსელური გუნდის აღზრდილია და შარშან უკვე რეზერვისტებშიც ითამაშა. მიმდინარე სეზონში კი „ანდერლეხტის“ ძირითადში მოხვედრის შანსიც ექნება.

ესპანური „დეპორტივოს“ პრეზიდენტმა აუგუსტო სესარ ლენდორომ განაცხადა, რომ „ჩელსის“ მფლობელი რომან აბრამოვიჩი მის კლუბში ფულის დაბანდებას აპირებს. როგორც ირკვევა, მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობს და აბრამოვიჩი ეგებ ლაკორუნიელთა აქციების გარკვეული ნაწილის მფლობელი გახდეს. შეგახსენებთ, რომ შარშან ჩუკოტკის გუბერნატორმა სეგუნდადივიზიონიდან გავარდნილი „კომპოსტელას“ შეძენაც სცადა, მაგრამ შეთანხმება არ შედგა.

ინგლისური „ლივერპულის“ სენეგალელი ნახევარმცველი სალიფ დიაო სეზონის ბოლომდე „ბირმინგემში“ ითამაშებს. აფრიკელის გადაბირება ბირმინგემელთა თავკაცმა სტივ ბრიუსმა ისურვა. ეს უკანასკნელი ნახევარდაცვის გაძლიერებას ლამობს. წესით, დიაომ რობი სევიჯის ადგილი უნდა დაიკავოს, რომელიც კლუბის დატოვებას აპირებს. შეთანხმების ფინანსური მხარე ჯერჯერობით არ ხმაურდება.

ზოტლანდიურმა „რეინჯერსმა“ ფინური ჰიკ-ის 19 წლის მცველ იუკა სანტალასთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ახალგაზრდა ფეხბურთელი ნოემბრის შემდეგ იმყოფება გლაზგოელთა რიგებში, მაგრამ ტრანსფერი ოფიციალურად ახლა გაფორმდა. გარდა ამისა, „ჩაფრებს“ ბერძენ მცველ სოტირის კირიაკოსის შეძენაც განუზრახავთ.

რუსული „ლოკომოტივის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ფრანსისკო ლიმა შესაძლოა, „რომაში“ დაბრუნდეს. დედაქალაქური კლუბი უკვე დაუკავშირდა ფეხბურთელს. „წინადადება მართლაც მივიღე. „სტადიო ოლიმპიკოზე“ სიამოვნებით დავბრუნდები. მთავარია, კლუბებმა მოილაპარაკონ. რაც შეეხება პირად კონტრაქტს, მის დეტალებს „რომას“ წარმომადგენლები უკვე აგვარებენ ჩემს აგენტთან“ — აღნიშნა ლიმამ.

ინგლისური „არსენალის“ ნახევარმცველი ფრედერიკ ლიუნგბერგი კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. შეგახსენებთ, 27 წლის შვედი მოქმედი შეთანხმებით 2006 წლის ზაფხულამდე „მეთოფეთა“ საკუთრებაა. „მართალია, იტალიური და ესპანური გრანდები ჩემით დაინტერესებულნი არიან, მაგრამ ლონდონში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკება დაწყებულია “ — განაცხადა ლიუნგბერგმა.

REUTERS ბარნლიდან

ჯიმი ტრაორეს ავტოგოლმა „ლივერპული“ ასოციაციის თასიდან დაიფრინა

ეს რა ჩაიდინე, ჯიმი?...

ლივერპული თასიდან დაითხოვეს

ინგლისი

ასოციაციის თასი
1/32 ფინალი. გადათამაშება

ბლეკპული 0:1 ლესტერი
0:1 ი. გუდიონსონი (16)

ბარნლი 1:0 ლივერპული
1:0 ჯ. ტრაორე (51ს.კ.)

ჯიმი ტრაორეს კომიკურმა ავტოგოლმა „ლივერპული“ ასოციაციის თასს გარეთ დატოვა და შემდეგ წრეში პატარა „ბარნლი“ გაიყვანა, რომელიც მეთექვსმეტედფინალში კიდევ უფრო პატარა „ბორნმუთს“ შეხვდება.

51-ე წუთზე ტრაორემ საკუთარ კარში გადაგზავნა მავან რიჩარდ ჩეპლოუს ჩაწოდებული. მწარე ის იყო, რომ ორიოდ დღე გავიდა იქიდან, რაც მენეჯერმა რაფა ბენიტესმა თავისი მეკარე ირეკი დულკი გააკრიტიკა, „მანჩესტერთან“ ის გოლი არ უნდა გაეშვა.

„ბარნლის“ მწვრთნელმა სტივ კოტერელმა ისე გაიხარა, რომ თქვა: „ჩემი კარიერის უბედნიერესი დამე ჩამოდგა. განა ბევრი ვუნდი, „ლივერპულს“ რომ ამარცხებს?“

მართალია „ლივერპულის“ შემადგენლობაში ნაცნობი სახე ცოტა იყო, მაგრამ ბენიტესმა ეს უფრო გუნდის გადაღლილობას მიაწერა, ვიდრე თასის გაუფასურებას.

ირაკლი გამყრელიძე

დადუმდით! ითხოვს ლიგა

ვითომ შერიგდებიან არსენ ვენგერი და ალექს ფერგიუსონი?

ეს ჩხუბი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდესო, თქვეს პრემიერლიგის კლუბების თავმჯდომარეებმა და არსენ ვენგერისა და სერ ალექს ფერგიუსონის გაფრთხილება გადაწყვიტეს.

ამ დილით, „მანჩესტერისა“ და „არსენალის“ შეფებს საგანგებო შეხვედრაზე ელიან, სადაც პრემიერლიგა გამოუცხადებს მათ, რომ ორი კლუბის მენეჯერთა ქიშპი მანამდე უნდა მორჩეს, სანამ ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. ანუ 1 თებერვალს უკვე სიჩუმე უნდა იყოს.

ლიგა ასევე ითხოვს, რომ სერ ალექსმა და ვენგერმა ოფიციალური ერთობლივი განცხადებით მიმართონ ერსა და ბერს, რომ მათ შორის კამათი დამთავრებულია.

ირაკლი გამყრელიძე

„ბლექბერნის“ კაპიტან ბარი ფერგიუსონს გლაზგოს „რეინჯერსში“ დაბრუნება სურს და კლუბის ბოსებს სთხოვა, გამიშვითო. პრემიერლიგური გუნდის მწვრთნელი მარკ ჰიუზი კი ფეხბურთელის შენარჩუნებას ცდილობს, რადგან „ბლექბერნს“ ჭაკად აქვს საქმე და უძლიერესთა შორის დასარჩენად იბრძვის

ბარის ისევ ჩაფრობა სურს

ფერგიუსონის აგენტმა ჯონ ვიოლამ განაცხადა, რომ მის კლიენტს ინგლისიდან შოტლანდიაში წასვლა უნდა. „ბლექბერნის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონ უილიამსმა ეს ამბავი დაადასტურა, ამის თაობაზე უფროსები ვიმსჯელებთო.

„რეინჯერსის“ თავმჯდომარე დევიდ მიურეის თქმით, 27 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 3 მილიონ გირვანქაზე მეტს არ გადაიხდიან. „აიბროქსელებს“ ეიმედებათ, რომ ბარი გლაზგოში გადასვლას დაიჟინებს და „ბლექბერნიც“ უარს ვერ ეტყვის.

ფერგიუსონი „ბლექბერნში“ 6 მილიონ 500 ათასი გირვანქის სანაცვლოდ წელიწადნახევრის წინ, გადავიდა „რეინჯერსიდან“. ინგლისურმა კლუბმა შოტლანდიურს 4 მილიონი გირვანქა მაშინვე გადაუხადა, 2 მილიონნახევარი კი ჯერ კიდევ ვალად აქვს შერჩენილი. ასე რომ, თუ ეს ტრანსფერი შედგა, ბლექბერნელები გლაზგოელებისგან მხოლოდ ნახევარ მილიონ გირვანქას მიიღებენ.

პრემიერლიგურ გუნდში გადასვლის დღიდან ბარი ფერგიუსონს ტრავმები დაეჩვია და ძირითად შემადგენლობაშიც იმკეთად თამაშობდა. მას „ბლექბერნთან“ ორწლიანახევრიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ, ალბათ კვლავ შოტლანდიაში დაბრუნდება, მის ნაცვლად კი მარკ ჰიუზი „ბირმინგემის“ უფლესელი ნახევარმცველის, რობი სევიჯის შეძენას აპირებს.

ვაჟა ხუციშვილი

ბაინც დასჯიან

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია, ალბათ დააჯარიმებს „მიდლსბროსა“ და „ევერტონის“ ფეხბურთელებს, მარკ შვარცერსა და დანკან ფერგიუსონს, რომლებმაც პრემიერლიგის გასულ ტურში ერთმანეთს ჩხუბი აუტეხეს.

მატჩი „რივერსაიდზე“ 1:1 დასრულდა, ჩხუბი კი მასპინძელთა მეკარისა და სტუმართა თავდამსხმელის შეჯახებას მოჰყვა.

მსაჯმა დერმოტ გალაჰერმა ბარათები არ მოითხოვა, თუმცა, ორივე გუნდის კაპიტანი დაამუნათა. ასოციაცია საქმის განხილვას 2 თებერვლიდან შეუდგება.

ირაკლი გამყრელიძე

დანკან ფერგიუსონს დისკვალიფიკაცია ელის

წავა კეუმანი და მოვა აიეგბენი

აბრამოვიჩი ნიგერიელში 18 მილიონს იხდის

ამბობენ, „ჩელსი“ თავის სერბ ფორვარდ მატეა კეუმანს გაასხვისებს და მის მაგივრად „სტემფორდ ბრიჯზე“ ნიგერიელ იაკუბუ აიეგბენის მიიყვანსო.

ლონდონური კლუბის ახალგაზრდა პორტუგალიელმა მწვრთნელმა, ჟოზე მაურინიუმ „პორტსმუთის“ პერსპექტიულ ფორვარდს თვალი რა ხანია დაადგა. თავად ფეხბურთელს კი — ვიდრე ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება — ძალიან სურს უფრო სერიოზულ კლუბში გადასვლა.

აფრიკელით „ევერტონი“ და „ნიუკასლიც“ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ახლა როცა საქმეში „ჩელსი“ ჩაერთო, რა გასაკვირია, რომ „პორტსმუთმა“ ტრანსფერით ხელიც მოითბოს ანუ... გავრცელებული ინფორმაციით, რომან აბრამოვიჩი ნიგერიელ თავდამსხმელში 18 მილიონ დოლარს იხდის.

რაც შეეხება კეუმანს, მას სეზონის ბოლომდე უპირებენ განათხოვრებას, თუმც თუ რომელიმე კლუბი სათანადო თანხას გადაიხდის, არც მისი გაყიდვაა გამორიცხული. ბოლო ცნობებით, კეუმანის გადაყვანა მოსკოვურ ცსკა-ს სურს.

შეგახსენებთ, კეუმანი „ჩელსიში“ გასულ ზაფხულს ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენიდან გადავიდა. მართალია, თავიდან იგი ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ ნელ-ნელა უკლო და მაურინიუს სქემიდანაც ამიტომ ამოვარდა.

გიორგი კაკაბაძე

რეკლამა
სარგიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

მწვანე და მწარე
ალიყური ეგრე არ უნდოდა

ლანსელმა ნიკოლა ჟილემ სენტ ეტიენელი ფრედერიკ მენდი ამჯერად შეაჩერა

საფრანგეთი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

ლანსი 0:3 *სენტ ეტიენი*

0:1 პიკიონი (21), 0:2 ფეინდუნო (73ჯ), 0:3 ნ. მარინი (88)

„ლანსი", რომელიც ამ სეზონში გვარიანად დაჩარხულიყო, საფრანგეთის ლიგის თასიდან გავარდა. „წითელ-ყვითლები" ერთი წლის წინ, სწორედ მეოთხედფინალიდან „სოშომ" დაიფრინა, ახლა კი ლანსელებს გზა „სენტ ეტიენმა" გადაუკეტა.

„მწვანეები" ჩემპიონატში კარგად თამაშობენ, ზედიზედ შვიდ მატჩში არ დამარცხებულან და აგერ, ახლა ნახევარფინალშიც გააღწიეს, თუმც ორიოდ კვირის წინ „სენტ ეტიენი" საფრანგეთის თასიდან უსახელო „ნიმმა" გააძევა. აქვე ვთქვათ, რომ „ლანსს" ლიგის თასი ბოლოს 1999 წელს მოუგია.

გასული წლის 14 აგვისტოს „მწვანეები" ლანსში საჩემპიონატო მატჩში 0:3 შერცხვნენ და ამჯერად მეტოქეს საპასუხო ალიყური აჭამეს. ალიყური ისეთი მწარე გამოდგა, რომ მარცხით გამწარებული მასპინძელი ქომაგები მოედანზე შევარდნას ლამობდნენ, რის გამოც შეხვედრა რამდენიმე წუთით შეწყდა.

ანგარიში პირველი ტაიმის შუაში ფრედერიკ პიკიონმა გუნდის მთავარმეგოლე ჰელებუკის პასით გახსნა. შესვენების შემდეგ დამხვდურებს გათანაბრება შეძლოთ, როცა ჯონ უტაკამ ჟერომ ლერუა ბურთიანად სტუმართა მეკარეს შეატოვა, მაგრამ ამ უანასკნელმა კარს რატომღაც გვარიანად ააცილა. ამ მომენტიდან რვა წუთში ნიკოლა ჟილემ ჟულიენ საბლე საჯარიმოში საპენალტედ წააქცია და პასკალ ფეინდუნომაც ლანსელებს თერთმეტი მეტრიდან მეორე გაუტანა.

ბოლოს შეცვლაზე შესულმა ნიკოლა მარინმა გამოიჭირა მეტოქე კონტრშეტევაზე, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდა.

ვაჟა ხუციშვილი



ბარალდი ჯილარდინოს ვერ შეელევა

„პარმაში" თქვეს, რომ ალბერტო ჯილარდინოს მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია და მას კლუბის აქციონერები გადაწყვეტენ. ითქვა ისიც, რომ „პარმამ" ფაბიო ვინიაროლი დაიმატა

ჯილარდინოს თაობაზე პარმელებს განცხადების გაკეთება იმიტომ მოუხდათ, რომ ამ რამდენიმე დღის წინ გაზეთები ირწმუნებოდნენ, ჯილარდინოს ყიდვას „მილანი" აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრაო.

ამ ცნობის უარყოფა „პარმას" დირექტორმა ლუკა ბარალდიმ ითავა და დასძინა: „ჯილარდინო ალბათ ზაფხულში დაგვემშვიდობება. ყველაფერი კლუბის აქციონერთა ხელშია, მათ უნდა გადაწყვიტონ, რა ურჩევნიათ — მაღალი კლასის ფორვარდის შენარჩუნება თუ ფული, რომელსაც მასში გადაიხდიან. პირადად მე ჯილარდინოს არ გავყიდდი, მაგრამ ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ჩემზე დამოკიდებული არ არის".

22 წლის ფეხბურთელით „მილანი", „რეალი", „იუვენტუსი" და „რომა" ყოფილან დაინტერესებულები, რაც გასაკვირი არც არის — ჯილარდინომ ამ სეზონში ცხრა გოლი გაიტანა, რაც სერია A-სთვის გვარიანად რიგიანი შედეგიანობაა.

თავში ფაბიო ვინიაროლიც ვახსენეთ. ეს ფეხბურთელი „პარმამ" სერია B-ს „მოდენადან" იჯარით აიყვანა. 28 წლის ვინიაროლი „მოდენამდე" „კომოსა" და „სალერნიტანაში" თამაშობდა. მან კარიერის მანძილზე სერია A-ში ნათამაშევ 48 მატჩში ოთხი გოლი შეაგდო.

ირაკლი ნინიძე





ალესანდრო დელ პიეროს პრობლემებით ჯანფრანკო ძოლა, რა თქმა უნდა, დაინტერესდა

ჩემი მეგობარი ალექსი
დაივიწყე, რომ დელ პიერო ხარ

წინა კვირას, „იუვენტუსისა" და „კალიარის" მატჩის წინ, ტურინელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ყველასთვის მოულოდნელად სკამზე დასვა კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო. მერე რაც მოხდა, გეხსომებათ: „იუვენტუსი" იგებდა, მაგრამ ბოლო წუთზე ჯანფრანკო ძოლასგან გოლი იგემა და ერთ ქულას დასჯერდა. ამან კი მეორეადგილოსან „მილანს" ლიდერთან ჩამორჩენის ორ ქულამდე შემცირების საშუალება მისცა.

თუმცა პირდაპირ ვთქვათ: „იუვენტუსის" წაფორხილებას დელ პიეროს უთამაშებლობასთან დაკავშირებას არ ვაპირებთ, ეს ამბავი კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ნამატჩევს ძოლას და დელ პიეროს დიდი ხანი უსაუბრიათ და ამ საუბრის შინაარსი ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს.

„თამაშის მერე ალექსს კარგა ხანს ველაპარაკე. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ და ამიტომაც უფლება გვაქვს, ერთმანეთის პრობლემებით დავინტერესდეთ — თქვა ძოლამ — ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დგება ხოლმე რთული პერიოდი. დელ პიეროს ახლა სწორედ ასეთი პერიოდი აქვს. მე ვურჩიე, პრობლემებზე არ იფიქროს, საერთოდ ეცადოს დაივიწყოს, რომ დელ პიეროა. ასე ნაკლებს ინერვიულებს და პრობლემებიც უფრო სწრაფად მოგვარდება. მე თავად ვყოფილვარ მსგავს ვითარებაში და ამიტომაც კარგად მესმის მისი".

ძოლა ასეთსავე სიტუაციაში „პარმაში" თამაშის დროს აღმოჩნდა, როცა პარმელთა მაშინდელმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ მოიძულა და მანაც თამაშის გაგრძელება „ჩელსიში" ამჯობინა.

ახლა ამბობენ, რომ შესაძლოა დელ პიერომაც დატოვოს „იუვენტუსი" და უცხო მხარეში, კერძოდ კი იაპონიაში წავიდეს ბედის საძიებლადო. მას ამომავალი მზის ქვეყნიდან უვე შეეხმიანა „კაშიმა ანთლერსი", ზღაპრულ ხელფასს გადაგიხდით, წამოდი, არ ინანებო.

ძოტე ძეძელია

ჰილდებრანდმა კალამი იუარა
კანის მჯობნი პრემიერლიგას უმიზნებს

ტიმო ჰილდებრანდს „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შანსი გაუჩნდა და გადაწყვიტა, „შტუტგარტი" ამიტომ დატოვოს. 25 წლის მეკარეს, რომელსაც იურგენ კლინსმანი ბუნდესნაკრებში ადგილს იშვიათად ანდობს, „შტუტგარტმა" კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა, მაგრამ ჰილდებრანდმა არ ისურვა.

ამ სატრანსფერო ორომტრიალში სხვა ვარიანტიც განიხილება. ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს ცნობით, არსენ ვენგერისგან ათვალწუნებული იენს ლემანი შესაძლოა, „შტუტგარტში" აღმოჩნდეს და მის სანაცვლოდ ჰილდებრანდი მიიღოს. ბუნდესლიგური კლუბის პრეზიდენტმა ერვინ სტაუდტმა განაცხადა: „დასანანია, რომ მას ჩვენთან დარჩენა აღარ სურს, მაგრამ მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ".

ტიმო ჰილდებრანდმა, რომლის კონტრაქტიც 2005 წლის 30 ივნისს იწურება, 140-ჯერ ითამაშა „შტუტგარტის" შემადგენლობაში, 2003-2004 წლების სეზონში კი თვით ოლივერ კანის რეკორდი დაამხო, როცა 885 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვა.

ვაჟა ხუციშვილი

ტიმო ჰილდებრანდს „მანჩესტერ იუნაიტედი" ხიბლავს

შებრძანდით და მიეცით
უეფაში ანრის ბადალი არავინაა

გამოკითხვები, მოგეხსენებათ, ათასგვარი არსებობს. ასე მაგალითად, რონალდინიო მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებმა და კაპიტნებმა დაასახელეს, ანდრეი შევჩენკო კი ევროპის საუკეთესო სპორტულ გამოცემათა რედაქტორებმა მიიჩნიეს

არსებობს ონლაინ გამოკითხვებიც, რომელთაგან ყველაზე ავტორიტეტულის მომწყობი უეფას ოფიციალური ვებ-გვერდია. ამ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება UEFA.COM-ზე შემსვლელ ყველა გულშემატკივარს შეუძლია, მიზანი კი უეფას წლის სიმბოლური ნაკრების შედგენაა. ახლანდელ გამოკითხვაში დაახლოებით მილიონ ორასი ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. საერთოდ კი ეს მეოთხე გამოკითხვაა, UEFA.COM-მა ეს საქმე 2001 წელს დაიწყო.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ოთხივეჯერ მოხვდა უეფას ნაკრებში ტიერი ანრი გახლავთ. ექვსი ფეხბურთელი კი ისეთია, ეს პატივი პირველად რომ ერგოთ. მათ შორის, ნუ გაიკვირვებთ და, რონალდინიოცაა. უბრალოდ, „პარი სენ ჟერმენში" თამაშისას, ხალხი მას ყურადღებას ჯეროვნად არ აქცევდა.

2004 წლის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი) — **მარკოს კაფუ** (მილანი), **ალესანდრო ნესტა** (მილანი), **რიკარდუ კარვალიუ** (ჩელსი), **ეშლი კოული** (არსენალი) — **კრისტიანო რონალდო** (მანჩესტერ იუნაიტედი), **მანიშე რიბეირუ** (პორტუ), **რონალდინიო** (ბარსელონა), **პაველ ნედვედი** (იუვენტუსი) — **ანდრეი შევჩენკო** (მილანი), **ტიერი ანრი** (არსენალი)
მწვრთნელი: **ჟოზე მაურინიუ** (ჩელსი)

უცნაური მანევრი
მუტუ ლივორნოში გადასულა



რუმინელი ფორვარდი, კოკაინის მოხმარებაში მხილებული და მაისამდე დისკვალიფიცირებული ადრიან მუტუ „იუვენტუსის" ნაცვლად „ლივორნოში" გადავა. საქმე ისაა, რომ იტალიაში მოქმედი ახალი წესების თანახმად, სერია A-ს კლუბებს უფლება არა აქვთ, ერთ სეზონში ხუთზე მეტი არაევროკავშირელი ფეხბურთელი ათამაშონ. ტურინელებს კი ეს ლიმიტი ამოწურული აქვთ

ლუჩანო მოჯიმ და კომპანიამ გამოსავალი მალევე იპოვეს. „იუვეს" გენერალურმა დირექტორმა „ლივორნოს" შეფობასთან ორივე მხარისთვის მომგებიან შეთანხმებას მიაღწია. მუტუ კონტრაქტს ტოსკანურ კლუბთან გააფორმებს, სეზონის ბოლოს კი „ბებერი ქალბატონი" „ლივორნოს" მასში ერთ ან რამდენიმე ფეხბურთელს გაუცვლის.

„ეს ცოტა უცნაური, მაგრამ აბსოლუტურად ლეგალური და მიღებული მანევრია. არაფერი სენსაციური ამაში არ არის, ამიტომ აჟიოტაჟს ნუ შევქმნით. მხარეებს შორის სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია, მაგრამ ოფიციალურად ყველაფერს ორ კვირაში გავაფორმებთ. სეზონის ბოლოს „ლივორნო" გაწეული დახმარებისთვის ფაქტობრივად უფასოდ მიიღებს ფეხბურთელს" — თქვა მუტუს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კლაუდიო პასკუალინიმ.

კომენტარი გააკეთა „ლივორნოს" პრეზიდენტმა ალდო სპინელიმაც: „ადრინ მუტუს ფორმალურად ვყიდულობთ. შეიძლება ითქვას, რომ „იუვენტუსისთვის" ვახორციელებთ ტრანსფერს. უბრალოდ, ტურინელებს ვეხმარებით, სანაცვლოდ კი მათ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშეს მივიღებთ".

ხოლო იტალიური ჟურნალ-გაზეთები უკვე იმ ფეხბურთელებზე ალაპარაკდნენ, რომლებიც სავარაუდოდ მუტუს მაგივრად გადავლენ „ლივორნოში". მთავარ კანდიდატად ყმაწვილი შვეიცარიელი ფორვარდი დავიდე კიუმიენტო სახელდება.

გიორგი ბაბაბაძე

ფლამინის არ გავფლანგავთ
მარსელმა მუქთახორებს ფული დაუთვალა

ფრანგული „მარსელი" მეთიუ ფლამინის სანაცვლოდ გაცილებით მეტ ფულს ითხოვს ლონდონის „არსენალისგან", ვიდრე ადრე მიიღო. საამისოდ, ფრანგული კლუბის აღმასრულებელი დირექტორი პაპე დიუფი „მეთოფეთა" ვიცე-პრეზიდენტ დევიდ დინთან შეხვედრას აპირებს. მხარეებმა კონტრაქტის პირობები უნდა შეათანხმონ და 20 წლის ნახევარმცველის ფასზე საბოლოოდ მორიგდნენ.

ფლამინი ზაფხულში, „მარსელიდან" მწვრთნელ ჟოზე ანიგოს გაექცა, აქ ძირითად შემადგენლობაში არ მათამაშებ, ლონდონის „არსენალი" კი მეხვეწებაო.

ფრანგებმაც ლონდონელებს ფეხბურთელი ექვსი თვით მიაქირავეს, რომლის სანაცვლოდ 336 ათასი გირვანქა მიიღეს. ივარის ვადა უკვე ამოიწურა, ფლამინი კი საფრანგეთში დაბრუნებას უარობს.

ასეთ შემთხვევაში კონტრაქტის გაფორმება აუცილებელია, ხოლო „არსენალს" სურდა, ნახევარმცველი თითქმის მუქთად ჩაეგდო ხელში. ფიფას სატრანსფერო კომიტეტმა დაადასტურა კიდეც, რომ ფლამინის უფლება აქვს, საიჯარო ვადის გასვლის შემთხვევაშიც კი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ითამაშოს „არსენალში".

ფრანგულმა კლუბმა ფიფას განაჩენი სპორტის სასამართლოში გასაჩივრა. შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ „მეთოფეებმა" „მარსელს" 336 ათას გირვანქაზე გაცილებით მეტი უნდა გადაუხადონ.

ვაჟა ხუციშვილი



მეთიუ ფლამინი

შვარცერს სამი დაუმატეს

მარკ შვარცერი

ავსტრალიელმა მეკარე მარკ შვარცერმა „მიდლსბროსთან" კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. „ბევრს ჭორაობდნენ, თითქოს მე სხვა რომელიმე კლუბთან წინასწარი კონტრაქტი გავაფორმე და აქედან წასვლას ვგეგმავდი — განაცხადა 32 წლის გოლკიპერმა — ახლა კი ვფიქრობ, „ბოროში" კიდევ სამი წლით ვრჩები".

სიდნეიში დაბადებული შვარცერი „მიდლსბროში" „ბრედფორდიდან" 2 მილიონ დოლარად 1997 წლის თებერვალში გადავიდა და ძირითად გუნდის ბრაიან რობსონი წვრთიდა.

„მე აქ შვიდი შესანიშნავი სეზონი გავატარე. ჩარმან ლიგის თასიც მივიგე, ახლა კი უეფას თასის ძიებებსმეტედფინალში ვარ — თქვა შვარცერმა, რომელსაც „ბრედფორდიდან" დრეზდენის „დინამოში" და „ეფიზერსლაუტერნში" უთამაშია.

ვაჟა ხუციშვილი

ლომანას არ ეკადრებოდა

„პორტსმუთის" თავდამსხმელი ლომანა ლუა ლუა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დასაჯა. მიზეზი: კონგოელმა მოთამაშემ, გასულ შაბათს, „ბლექბერნ როვერსთან" შეხვედრის დროს („ბლექბერნმა" „პორტსმუთს" 1:0 მოუგო) წითელი ბარათის მიღების შემდეგ მოედანიდან გასვლა იუარა. მოგეხსენებათ, იმ შეხვედრაში ლუა ლუას შემდეგ მსაჯმა კიდევ ერთი პორტსმუთელი გააძევა.

ლუა ლუამ, რომელმაც ბლექბერნელ მცველს, ენდი ტოდს თავი სთხლიშა, უფრო ზუსტად კი, ამ სიტყვას ნუ იუხერხულებთ და ურქინა, იანვრის დასაწყისი ყურის ინფექციის გამო გამოტოვა. ახლა 24 წლის კონგოელი სამ შეხვედრაში ვერ ითამაშებს — ესენია პრემიერლიგური მატჩები „ჩელსისთან" და „მიდლსბროსთან", პლუს ფეხბურთის ასოციაციის თასი მეთექვსმეტედფინალის შეხვედრა „საუთჰემპტონთან".

„ლუა ლუა ცუდი ქცევის გამო დაისაჯა. წითელი ბარათის მიღების შემდეგ მას დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა მოედანი" — წერია ფეხბურთის ასოციაციის განცხადებაში.

ეგრეთწოდებული, სწრაფი დისციპლინარული სისტემის მიხედვით, ლუა ლუას პროტესტი გუშინ, ბრიტანული დროით საღამოს 6 საათამდე უნდა შეეტანა და თუ ისურვა ან მოასწრო, მისი საქმე ხელახლა მომავალ სამშაბათს განიხილება.

პაპუნა კედია



ლუა ლუა ცუდი ქცევისთვის დასაჯეს

სარგებელი 5 კრეკერ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		22 იანვარი						
15:45	1	საუთჰემპტონი-ლივერპული	4.2	3.3	1.8	1.84	1.25	1.16
18:00	2	ნორვიჩი-მიდლსბრო	3.0	3.2	2.25	1.54	1.28	1.32
18:00	3	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.3	4.4	9.0	1.0	1.13	2.95
18:00	4	ევერტონი-ჩარლტონი	1.8	3.3	4.2	1.16	1.25	1.84
18:00	5	ბირმინგემი-ფულემი	1.85	3.2	4.25	1.17	1.28	1.82
18:00	6	ჩელსი-პორტსმუთი	1.2	5.5	10.0	1.0	1.07	3.54
18:00	7	კრისტალ პალასი-ტოტენჰემი	3.1	3.2	2.2	1.57	1.28	1.3
20:15	8	ვესტ ბრომვიჩი-სიტი	3.0	3.2	2.25	1.54	1.28	1.32
		23 იანვარი						
19:05	9	არსენალი-ნიუკასლი	1.45	3.8	6.85	1.04	1.19	2.44
		24 იანვარი						
23:00	10	ბლეკბერნი-ბოლტონი	2.2	3.2	3.1	1.3	1.28	1.57
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		22 იანვარი						
18:00	11	კარდიფი-ბარნლი	2.2	3.2	2.95	1.3	1.26	1.53
18:00	12	ლესტერი-უილინგემი	1.7	3.2	4,5	1.11	1.23	1.87
18:00	13	რედინგი-იფსვიჩი	2.45	3.2	2.6	1.38	1.26	1.43
18:00	14	სტოკი-ლიდსი	2.25	3.2	2.85	1.32	1.25	1.5
18:00	15	ბრაიტონი-ნოტინგემი	1.95	3.3	3.4	1.22	1.23	1.67
18:00	16	პლიმუთი-პრესტონი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
18:00	17	ქოვენთრი-ქპრ	2.1	3.2	3.0	1.26	1.23	1.54
18:00	18	სანდერლენდი-შეფილდი	2.05	3.2	3.3	1.24	1.26	1.62
18:00	19	უიგანი-უოტფორდი	1.55	3.4	5.5	1.06	1.2	2.1
18:00	20	მილუოლი-ვულვერჰემპტონი	1.95	3.2	3.6	1.21	1.26	1.69
18:00	21	ქრიუ-როტერჰემი	1.8	3.2	4.0	1.15	1.24	1.77
		23 იანვარი						
15:30	22	ვესტ ჰემი-დერბი	1.9	3.3	3.5	1.2	1.23	1.69
		ინგლისი. I ლიგა						
		21 იანვარი						
22:45	23	უენსდი-პორტ ვეილი	1.5	3.3	6.5	1.03	1.21	2.18
18:00	24	ბრენტფორდი-სუინდონი	1.9	3.2	3.7	1.19	1.25	1.71
		22 იანვარი						
18:00	25	ბრედფორდი-ტორკი	1.7	3.3	4.5	1.12	1.23	1.9
18:00	26	ტრანმერი-უოლსოლი	1.55	3.5	5.2	1.07	1.19	2.09
18:00	27	ჩესტერფილდი-რექსემი	1.7	3.4	4.2	1.13	1.21	1.87
18:00	28	სტოკპორტი-ბარნსლი	2.85	3.2	2.25	1.5	1.25	1.32
18:00	29	ჰადერსფილდი-ბორნმუთი	2.35	3.2	2.7	1.35	1.25	1.46
18:00	30	ჰარტლპული-ბრისტოლი	2.1	3.2	3.2	1.26	1.26	1.6
18:00	31	დონკასტერი-ჰალი	2.6	3.2	2.4	1.43	1.24	1.37
18:00	32	კოლჩესტერი-ლუტონი	3.05	3.2	2.1	1.56	1.24	1.26
18:00	33	პიტერბრო-ოლდემი	2.25	3.2	2.8	1.32	1.24	1.49
18:00	34	ბლეკპული-დონსი	1.9	3.3	3.4	1.2	1.21	1.67
		ინგლისი. II ლიგა						
		22 იანვარი						
18:00	35	ვრიმსბი-ლინკოლნი	2.2	3.2	2.9	1.3	1.25	1.52
18:00	36	იოვილი-კემბრიჯი	1.3	4.6	7.4	1.01	1.1	2.83
18:00	37	როვერსი-ჩელტენემი	2.0	3.2	3.3	1.23	1.24	1.62
18:00	38	რაშდენი-ლეიტონი	2.55	3.2	2.4	1.41	1.23	1.37
18:00	39	უიკომბი-მაკლსფილდი	2.2	3.2	2.85	1.3	1.24	1.5
18:00	40	ბერი-ნორთჰემპტონი	2.8	3.3	2.25	1.51	1.24	1.33
18:00	41	კიდერმინსტერი-ოქსფორდი	2.55	3.2	2.45	1.41	1.24	1.38
18:00	42	ჩესტერი-როჩდეილი	2.3	3.2	2.8	1.33	1.26	1.49
18:00	43	ნოტსი-სკანთორპი	2.85	3.2	2.2	1.5	1.24	1.3
18:00	44	დარლინგტონი-შრიუსბერი	1.6	3.5	4.8	1.09	1.2	2.02
18:00	45	მენსფილდი-საუთენდი	2.25	3.2	2.8	1.32	1.24	1.49
18:00	46	ბოსტონი-სუონსი	2.3	3.2	2.8	1.33	1.26	1.49
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		22 იანვარი						
18:00	60	დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი	1.95	3.2	3.4	1.21	1.23	1.64
18:00	61	დანდი-ჰართსი	2.6	3.2	2.35	1.43	1.23	1.35
18:00	62	ლივინგსტონი-ინვერნესი	2.25	3.2	2.8	1.32	1.24	1.49
18:00	63	ჰიბერნიანი-კილმარნოკი	1.7	3.4	4.4	1.13	1.22	1.91
18:00	64	სელტიკი-მოზერუელი	1.12	6.0	12.0	1.0	1.02	4.0
		23 იანვარი						
17:00	65	აბერდინი-რეინჯერსი	7.0	3.6	1.4	2.37	1.16	1.0
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		22 იანვარი						
18:00	66	სტ.მირენი-ერდრი	2.25	3.4	2.55	1.35	1.19	1.45
18:00	67	ფოლკირკი-კლაიდი	1.7	3.5	3.9	1.14	1.18	1.84
18:00	68	სტ.ჯონსტონი-პარტიკი	1.75	3.5	3.8	1.16	1.19	1.82
18:00	69	რეითი-ქუინი	2.65	3.5	2.2	1.5	1.2	1.35
18:00	70	ჰამილტონი-როსი	2.35	3.4	2.4	1.38	1.18	1.4
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		22 იანვარი						
18:00	71	ბერიკი-ალოა	3.0	3.5	1.95	1.61	1.18	1.25
18:00	72	ბრეჩინი-არბროთი	1.35	4.4	6.0	1.03	1.1	2.53
18:00	73	ეარი-ფორფარი	1.9	3.4	3.3	1.21	1.2	1.67
18:00	74	სტირლინგი-მორტონი	2.6	3.4	2.2	1.47	1.19	1.33
18:00	75	დამბარტონი-სტრანრარი	3.0	3.5	1.95	1.61	1.18	1.25
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		22 იანვარი						
18:00	76	ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი	1.3	4.6	6.8	1.01	1.09	2.74
18:00	77	კოუდენბითი-ელგინი	1.55	3.6	5.0	1.08	1.18	2.09
18:00	78	ქუინზ პარკი-მონტროუზი	2.1	3.4	2.8	1.29	1.2	1.53
18:00	79	პიტერჰედი-ეარეტნა	2.5	3.4	2.3	1.44	1.19	1.37
18:00	80	ალბიონი-სტენჰაუზმური	3.2	3.5	1.9	1.67	1.19	1.23
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		21 იანვარი						
22:30	81	ბაიერნი-ჰამბურგი	1.45	4.0	6.5	1.06	1.18	2.47
		22 იანვარი						
17:30	82	მიონხენგლადბახი-არმინია	1.9	3.4	3.55	1.21	1.23	1.73
17:30	83	ვოლფსბურგი-დორტმუნდი	1.9	3.4	3.55	1.21	1.23	1.73
17:30	84	ჰანზა-ფრაიბურგი	1.85	3.3	4.0	1.18	1.26	1.8
17:30	85	ნიურნბერგი-ლაუტერნი	2.05	3.2	3.3	1.24	1.26	1.62
17:30	86	მაინცი-შტუტგარტი	3.1	3.2	2.2	1.57	1.28	1.3
17:30	87	შალკე-ვერდერი	2.0	3.3	3.4	1.24	1.25	1.67
		23 იანვარი						
19:30	88	ბოხუმი-ჰერტა	2.8	3.2	2.3	1.49	1.26	1.33
19:30	89	ჰანოვერი-ლევერკუზენი	2.4	3.2	2.7	1.37	1.27	1.46
		იტალია. სერია A						
		22 იანვარი						
20:00	101	ბოლონია-კალიარი	2.1	2.9	3.6	1.21	1.32	1.6
22:30	102	ინტერი-კიევო	1.3	4.5	8.4	1.0	1.12	2.93
		23 იანვარი						
17:00	99	ლეჩე-ატალანტა	1.7	3.2	4.85	1.11	1.25	1.92
17:00	100	იუვენტუსი-ბრეშა	1.2	5.2	10.0	1.0	1.07	3.42
17:00	103	ლივორნო-მილანი	5.4	3.5	1.6	2.12	1.23	1.09
17:00	104	სიენა-პალერმო	2.75	2.7	2.8	1.36	1.38	1.37
17:00	105	მესინა-პარმა	2.2	2.8	3.6	1.23	1.36	1.57

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	106	უდინეზე-რეჯინა	1.65	3.0	6.5	1.06	1.31	2.05
22:30	107	ფიორენტინა-რომა	2.7	2.9	2.65	1.39	1.33	1.38
17:00	108	ლაციო-სამპდორია	2.2	2.9	3.35	1.25	1.32	1.55
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		22 იანვარი						
23:45	143	ბილბაო-ოსასუნა	1.85	3.2	4.1	1.17	1.27	1.79
22:00	144	ბარსელონა-რასინგი	1.2	5.5	10.0	1.0	1.07	3.54
		23 იანვარი						
21:00	139	მალაგა-ატლეტიკო	2.45	3.2	2.7	1.38	1.28	1.46
19:00	140	დეპორტივო-ესპანიოლი	2.05	3.2	3.35	1.24	1.27	1.63
23:00	141	რეალი-მალიორკა	1.2	5.5	10.0	1.0	1.07	3.54
19:00	142	ბეტისი-ნუმანსია	1.45	3.7	7.0	1.04	1.2	2.42
19:00	145	ალბასეტე-სევილია	2.55	3.2	2.6	1.41	1.28	1.43
19:00	146	ლევანტე-სოსიედადი	2.35	3.2	2.8	1.35	1.27	1.49
19:00	147	ვილიარეალი-ვალენსია	2.55	3.2	2.6	1.41	1.28	1.43
19:00	148	ხეტაფე-სარაგოსა	2.3	3.3	2.8	1.35	1.26	1.51
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		22 იანვარი						
19:15	160	მეცი-მარსელი	2.7	2.8	2.65	1.37	1.33	1.36
22:00	161	ტულუზი-ნანტი	1.85	3.0	4.25	1.14	1.28	1.75
22:00	162	ბასტია-ნიცა	2.45	2.8	2.95	1.3	1.33	1.43
22:00	163	სტ.ეტიენი-პსჟ	2.45	2.9	2.85	1.32	1.31	1.43
22:00	164	ისტრი-სტრასბური	2.4	2.9	2.95	1.31	1.32	1.46
22:00	165	რენი-აიაჩო	1.7	3.1	5.0	1.09	1.26	1.91
22:00	166	კაენი-ოსერი	2.85	2.8	2.55	1.41	1.34	1.33
22:00	167	სოშო-ბორდო	2.3	2.7	3.3	1.24	1.35	1.48
22:00	168	მონაკო-ლანსი	1.5	3.4	6.5	1.04	1.21	2.23
		23 იანვარი						
23:00	169	ლილი-ლიონი	2.65	2.8	2.7	1.36	1.33	1.37
		ბელგია. I დივიზიონი						
		22 იანვარი						
20:00	182	შარლერუა-სტანდარდი	2.55	3.3	2.45	1.43	1.24	1.4
22:00	183	ლიერსი-ვესტერლო	1.9	3.3	3.7	1.2	1.25	1.74
22:00	184	ბრიუსელი-ლოკერენი	2.65	3.3	2.35	1.46	1.24	1.37
22:00	185	ბევერენი-მონსი	1.55	3.6	5.5	1.08	1.2	2.17
22:00	186	სტ.ტრუიდენი-ანდერლეხტი	5.2	3.4	1.6	2.05	1.22	1.08
22:00	187	მუსკრონი-გენკი	2.65	3.3	2.35	1.46	1.24	1.37
22:00	188	ოსტენდე-ბეერსხოტი	2.6	3.3	2.35	1.45	1.23	1.37
		23 იანვარი						
15:00	189	გენტი-ბრიუგე	3.9	3.4	1.8	1.81	1.23	1.17
17:00	190	სერკლი-ლუვიე	2.4	3.3	2.6	1.38	1.24	1.45
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		21 იანვარი						
22:00	201	ალკმაარი-ნაიმეგენი	1.3	4.5	7.7	1.0	1.11	2.84
		22 იანვარი						
21:30	202	ერაასუსხაპი-როდა	3.7	3.2	1.9	1.71	1.25	1.19
21:30	203	ტილბურგი-ტვენტე	1.85	3.2	3.8	1.17	1.24	1.73
21:30	204	ჰერენვენი-დენ ბოსხი	1.3	4.5	7.7	1.0	1.11	2.84
21:30	205	პსვ-ბრედა	1.25	4.7	9.5	1.0	1.1	3.14
		23 იანვარი						
14:30	206	უტრეხტი-აიაქსი	3.2	3.3	2.05	1.62	1.24	1.26
16:30	207	დენ ჰააგი-ეროინგენი	2.25	3.3	2.75	1.33	1.23	1.5
16:30	208	ფეიენოორდი-ვიტესი	1.45	3.6	6.5	1.03	1.18	2.31
16:30	209	როზენდალი-ვალვაიკი	2.55	3.4	2.35	1.45	1.22	1.38
		ჰოკეი. შვედეთი						
		20 იანვარი						
21:00	305	მალმიო-ლულეო	2.3	4.4	2.05	1.51	1.08	1.39
21:00	306	ფრიოლუნდა-ჰვ 71	1.4	4.4	4.5	1.06	1.06	2.22
21:00	307	ფერიესტადი-ტიმრე	1.95	4.3	2.4	1.34	1.07	1.54
21:00	308	მოდო-ლინხიოპინგი	2.05	4.2	2.25	1.37	1.07	1.46
21:00	309	მორა-სიოდერტელიე	1.7	4.4	2.9	1.22	1.07	1.74
21:00	310	იურგორდენი-ბრიუნესი	1.5	4.4	3.7	1.11	1.06	2.0
		ჰოკეი. ფინეთი						
		20 იანვარი						
19:30	324	ჰაამეენლინა-იოკერიტი	2.2	4.2	2.1	1.44	1.07	1.39
19:30	325	ჰელსინკი-ილვესი	1.6	4.2	3.1	1.15	1.05	1.78
19:30	326	ტაპარა-იუვესკიულე	1.8	4.3	2.7	1.26	1.08	1.65
19:30	327	პელიკანსი-ლუკო	4.0	4.4	1.4	2.09	1.03	1.06

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		20 იანვარი						
19:30	342	კარლოვი ვარი-ლიბერეკი	2.25	4.2	2.1	1.46	[illegible]	[illegible]
20:00	343	პარდუბიცე-ლიტვინოვი	1.45	4.3	4.4	1.08	1.09	2.17
19:00	344	სლავია-პლზენი	1.6	4.4	3.2	1.17	1.06	1.85
19:00	345	ვიტკოვიცე-ზლინი	2.25	4.2	2.1	1.46	1.08	1.39
19:00	346	ვსეტინი-ტრუნეკი	1.8	4.3	2.65	1.26	1.07	1.63
19:30	347	დუკლა-კლადნო	3.85	4.4	1.5	2.05	1.07	1.11
20:30	348	სპარტა-ზნოიმო	1.45	4.3	4.4	1.08	1.09	2.17
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		20 იანვარი						
19:00	354	ტრენჩინი-სკალიცა	1.2	4.4	6.3	1.0	1.0	2.59
19:00	355	კოშიცე-ზვოლენი	2.1	4.0	2.2	1.37	1.07	1.41
19:00	356	ნიტრა-მიკულაში	1.7	4.1	2.8	1.2	1.05	1.66
19:00	357	ჟილინა-დუბნიცა	1.2	5.5	6.0	1.0	1.0	2.86
19:00	358	პოპრადი-სლოვანი	2.55	4.2	1.85	1.58	1.07	1.28
		ჰოკეი. გერმანია						
		20 იანვარი						
21:30	359	ჰამბურგი-ჰანოვერი	1.45	4.4	4.2	1.09	1.07	2.14
		21 იანვარი						
21:30	360	კრეფელდი-ინგოლშტადი	2.25	4.2	2.15	1.46	1.09	1.42
21:30	361	მანჰაიმი-კიოლნი	2.1	4.3	2.3	1.41	1.09	1.49
21:30	362	ნიურნბერგი-ფრანკფურტი	1.85	4.4	2.55	1.3	1.07	1.61
21:30	363	აუგსბურგი-ვოლფსბურგი	1.85	4.3	2.55	1.29	1.07	1.6
21:30	364	დიუსელდორფი-კასელი	1.6	4.3	3.2	1.16	1.06	1.83
21:30	365	აისბარენი-იხერლონი	1.35	4.5	4.4	1.03	1.03	2.22
		ჰოკეი. შვეიცარია						
		22 იანვარი						
21:45	372	ლუგანო-ციურიხი	1.7	4.4	2.8	1.22	1.05	1.71
21:45	373	ლანგნაუ-კლოტენი	2.15	4.2	2.2	1.42	1.08	1.44
21:45	374	სერვეტი-ლოხანა	1.45	4.5	4.0	1.09	1.06	2.11
21:45	375	ამბრი-ფრიბურგი	1.5	4.4	3.7	1.11	1.06	2.0
21:45	376	ბერნი-რაპერსვილი	1.8	4.4	2.6	1.27	1.06	1.63
21:45	377	დავოსი-ცუგი	1.45	4.4	4.0	1.09	1.06	2.09
		ჰოკეი. რუსეთი						
		20 იანვარი						
13:00	392	ასკ-ხიმიკი	2.35	4.3	1.9	1.51	1.05	1.31
13:00	393	სიბირი-ლოკომოტივი	3.0	4.4	1.6	1.78	1.04	1.17
13:00	394	სევერსტალი-ავანგარდი	2.3	4.3	1.95	1.49	1.05	1.34
13:00	395	ნეფტეხიმიკი-ლადა	2.35	4.3	1.9	1.51	1.05	1.31
13:00	396	მოლოტი-მაგნიტოგორსკი	6.5	5.5	1.1	2.97	1.0	1.0
13:00	397	ნოვოუზნეცკი-სპარტაკი	1.4	4.5	3.85	1.06	1.02	2.07
13:00	398	ცსკა-დინამო	2.4	4.5	1.95	1.56	1.07	1.36
13:00	399	აკ ბარსი-ს.იულაევი	1.2	5.0	6.0	1.0	1.0	2.72



ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ 2005

ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ. ᲛᲐᲒᲐᲠᲡᲐᲤᲐᲠᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ (1, შვეიცარია) — ტაკაო სუძუკი (იაპონია) 6:3, 6:4, 6:4; **ᲛᲐᲠᲐᲗ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ** (4, რუსეთი) — ბოღდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:1, 6:3; **ᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲒᲐᲡᲘ** (8, აშშ) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:3, 6:1, 6:0; **ᲒᲐᲡᲢᲝᲜ ᲒᲐᲣᲓᲘᲝ** (10, არგენტინა) — მარდი ფიში (აშშ) 2:6, 6:4, 7:5, 7:6 (7:4); **ᲘᲝᲐᲮᲘᲛ ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ** (11, შვედეთი) — პეტერ ვესელიცი (ჰოლანდია) 6:3, 7:5, 6:4; **ᲗᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲔᲓᲝ** (13, ესპანეთი) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) 6:4, 2:6, 6:2, 6:4; **ᲙᲐᲠᲝᲚ ᲒᲔᲙᲘ** (სლოვაკეთი) — ტომი ჰაასი (16, გერმანია) 5:7, 2:6, 6:2, 7:6 (7:5), 6:3; **ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙ ᲰᲠᲒᲐᲢᲘ** (20, სლოვაკეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:2, 7:6 (7:1), 3:6, 7:5; **ᲛᲐᲠᲙᲝ ᲒᲐᲚᲢᲐᲢᲘᲡᲘ** (კვიპროსი) — ივან ლიუბიჩიჩი (22, ხორვატია) 7:6 (7:1), 6:4, 6:7 (2:7), 6:2; **ᲤᲔᲚᲘᲡᲘᲐᲜᲝ ᲚᲝᲞᲔᲡᲘ** (24, ესპანეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 4:6, 6:3, 6:4, 7:6 (7:3); **ᲘᲐᲠᲙᲝ ᲜᲘᲔᲛᲘᲜᲔᲜᲘ** (ფინეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (27, ტაილანდი) 6:3, 6:4, 6:2; **ᲛᲐᲠᲘᲝ ᲐᲜᲩᲘᲩᲘ** (28, ხორვატია) — ბიორნ ფაუ (გერმანია) 7:5, 6:2, 6:1; **ᲢᲐᲘᲚᲝᲠ ᲓᲔᲜᲢᲘ** (29, აშშ) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:4, 6:1, 6:4; **ᲗᲝᲛᲐᲡ ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ** (30, შვედეთი) — აგუსტინ კალიერი (არგენტინა) 6:4, 5:7, 6:3, 2:6, 7:5

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲡᲛᲝ (2, საფრანგეთი) — დინარა საფინა (რუსეთი) 2:6, 6:1, 6:0; **ᲛᲐᲠᲘᲐ ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲐ** (4, რუსეთი) — ლინდსი ლი-უოტერსი (აშშ) 4:6, 6:0, 6:3; **ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲐ** (5, რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:2, 6:0; **ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ** (7, აშშ) — დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:3, 6:0; **ᲕᲔᲠᲐ ᲦᲣᲨᲔᲕᲘᲜᲐ** (რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (9, რუსეთი) 6:3, 6:3; **ᲜᲐᲓᲘᲐ ᲠᲔᲢᲠᲝᲕᲐ** (11, რუსეთი) — სოფი ფერგიუსონი (ავსტრალია) 4:6, 6:0, 6:1; **ᲡᲘᲚᲕᲘᲐ ᲤᲐᲠᲘᲜᲐ ᲔᲚᲘᲐ** (15, იტალია) — მარტა დომახოვსკა (პოლონეთი) 6:3, 7:6 (7:5); **ᲐᲜᲐ-ᲚᲘᲜᲐ ᲒᲠᲘᲝᲜᲔᲤᲔᲚᲓᲘ** (გერმანია) — ფავიოლა სულუაგა (17, კოლუმბია) 6:2, 7:6 (7:8); **ᲔᲛᲘ ᲤᲘᲖᲔᲠᲘ** (21, აშშ) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:1, 3:6, 6:2; **ᲛᲐᲒᲓᲐᲚᲔᲜᲐ ᲛᲐᲚᲔᲔᲕᲐ** (22, ბულგარეთი) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:4, 7:4; **ᲜᲐ ᲚᲘ** (ჩინეთი) — შინობუ ასაგოე (28, იაპონია) 6:3, 6:4; **ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐ ᲓᲘᲐᲡ-ᲝᲚᲘᲕᲐ** (არგენტინა) — ხისელა დულკო (29, არგენტინა) 7:6 (7:2), 7:5; **ᲔᲚᲔᲜᲐ ᲒᲐᲚᲢᲐᲩᲐ** (ბრიტანეთი) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 2:6, 6:3, 6:1

გუშინ ყველაზე მეტი ფიტო- თუ ტელეობიექტივი აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის გამარჯვებულ რუს სვეტლანა კუზნეცოვასკენ იყო მიპყრობილი. ამის მიზეზი თქვენც გეხსომებათ — მაინცდამაინც ავსტრალიობის პირველ დღეს ბელგიის სპორტის მინისტრმა კლოდ ეერდეკენსმა მილეთის გაასაგონად თქვა, დეკემბერში შარლერუამ სალაღობო ოთხქალას რომ უმასპინძლა, იქ სვეტლანა კუზნეცოვას შარდს აკრძალული პრეპარატი, ეფედრინი გამოჰყვა და მაგის ჯუბას დავხევო. სვეტამ, რასაკვირველია, ყველაფერი იუარა, მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ეს ამბავი მთელ წლეულანდელ ავსტრალიობას წაგვიმურდლავდა. საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა და სადოპინგო ბაზარ-კაგზალიც მყისვე მოთავდა — ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (დაბლტიეის! მახვშვებმა განაცხადეს, რომ ეფედრინი სალაღობო ტურნირებზე აკრძალული სულაც არ არისო და ზედმეტად მოწადინებულ ბელგიელ ჩინოვნიკსაც შემოსწყრნენ, კუზნეცოვას სახელი ასე სავარაოდ არ უნდა გაგებახებინაო. ერთი სიტყვით — უახლოესი ორი კვირის განმავლობაში სვეტას შარდზე ღადავით თავს აღარავინ შეგვაწყენს და ჩვენც მხოლოდ საკუთრივ კორტზე მიმდინარე მოვლენებით დავკავდებით. თუმცა ბარემ აქვე გეტყვით, რომ რუსგოგო კლოდ ეერდეკენს სასამართლოში ჩივილით ემუქრება და ვინ ვის ჯუბას დახევს, ეგ ჯერ კიდევ საკითხავიაო, დასძენს.

ისე კი, მის ირგვლივ ამტყდარ ალიაქოთს სვეტასთვის ჩოგანი სულაც არ შეუშლია იმაში, გუშინ 40 წუთში გასწორებოდა ფრანგ მარიონ ბარტოლის. ნამატჩევს ის ღიმილიანად არიგებდა ავტოგრაფებს და სულ ნაწნავზე ეკიდა, მელბურნში შეკრებილი მთელი ჟურნალისტობა მუმლივით რომ შემოხვეოდა — ეგ ამბავი სულაც არ მედარდება, პირუკუ, თავს ნაღდი ვარსკვლავით ვგრძნობო.

სხვაფრივ — ამ დღემაც განსაკუთრებული ვნებათაღელვის გარეშე ჩაიარა და ლიდერებმა, ჰა-ჰა, ერთი-ორი ისე-რა გამონაკლისის გარდა, კვლავაც კამაც-კამაც გაიშემდეგწრეკეს. ყველაზე ბოლომ იჩოგნავა ხვადთა უსტაბაშმა როჯერ ფედერერმა, რომელსაც თავის მხრივ კარიერის საუკეთესო ბურთაობა შეაგება რეიტინგსიის 203-ეადგილოსანმა ტაკაო სუძუკიმ. მაგრამ ფედერერის ამბავი ხომ იცით — რაც უფრო უძალიანდები, მით უფრო კაშკაშა და ჟიკჟიკა ხდება. ჰოდა, იჟიკჟიკა გუშინ აქილევსზე უფრო მეტად მოუწყვლელმა შვეიცარიელმა საღამოური მელბურნის ელექტროშუქებზე. ნამატჩევს კი კმაყოფილობდა, ფანტასტიკური მატჩი იყო და ძალოვანი გავერთეო. არადა, იაპონელმა დია შეუპოვრად იბუქნავა და მეორე სეტში საიმისოდ, რათა 5:3 დაწინაურებულიყო, ერთი ქულის მოგებაღა აკლდა. მაგრამ როგორც ამ შემთხვევაში, ისევე ყველა დანარჩენშიც, პირველოსანი უპრობლემოდ ახერხებდა შეთამამებული მეტოქის დაოკებასა და მატჩის ისევ თავისთვის სასურველ კალაპოტში ჩაბრუნებას. მომდევნო წრეში ეს კალაპოტი ალბათ ფინელი იარკო ნიემინენის კალაპოტზე გაივლის, ვინაც გუშინ საკმაოდ იოლად ავჯობა განთესილ ტაილანდელ პარადორნ შრიჩაფანს.

თუკი მხიარულ როჯერს მიმწუხრის სიგრილეში ერგო ბურთაობა, დღის განმავლობაში მოპაექრე მოთამაშეებს მეტოქეთა გარდა რკენა 35-გრადუსიან ხვატთანაც უწევდათ. 34 წლის ანდრე აგასის კი ამ ორ რამესთან ერთად თითქოს ასაკიც უნდა ეპრობლემებოდეს, მაგრამ გუშინ მან ისე დარდიმანდად შემუსრა შარშანწინ იქაურსავე ფინალში ძლეული რაინერ შუტლერი, რომ ნახვა ერთ რამედ ღირდა.

არაფერი გასჭირვებია მარატ საფინსაც და ამიტომაც იყო, ნამატჩევს უფრო თავის დამარცხებულ დაიკო დინარაზე რომ საუბრობდა. დინარა გუშინ ამელი მორესმოს ხვდებოდა და პირველ სეტში მძლავრად რომ გაირჯა, მომდევნო ორში ჩოგანი ვერ გაანძრია. მარატი ამის გამო ძალზედ ნაწყენი იყო და დას ჟურნალისტების მეშვეობით უმესიჯებდა — 18 წლის ხარ და უკვე დროა, აზრზე მოხვიდე და ისეთი ხასიათი განივითარო, შარაპოვას, კუზნეცოვას, დემენტიევას და მისკინას რომ აქვთო.

ამათგან კუზნეცოვაზე უკვე მოგახსენეთ, შარაპოვასა და სხვებზე კი ახლა ვიუბნოთ. უიმბლდონის შარშანდელ დედოფალს მოულოდნელად ფიცხელი წინააღმდეგობა გაუწია უსახელო ამერიკელმა ლინდსი ლი-უოტერსმა, რომელმაც მას პირველი სეტი აართვა კიდეც. თუმცა აქ ზუსტად ისეთივე სცენარი გათამაშდა, როგორიც მორესმო — საფინასა და პეტროვა — ფერგიუსონის მატჩებშიც — ფავორიტთა მოცილენი საწყის სეტებში საუცხოოდ ირჯებოდნენ, მაგრამ მერე თავისივე კადნიერება აფრთხობდათ და მომდევნო სეტებში კიდურები უქვავდებოდათ. ასე მოუვიდა 27 წლის ლი-უოტერსსაც, ვინაც 1996 წელს ზეორმოცეულშიც იყო, 2001-ში კი გადედების გამო კორტიდან ოჯახში გადაინაცვლა და შარშან რომ დაბრუნდა, ზეასეულამდე აღზევდა. შარაპოვა ნამატჩევს მას ხოტბას ასხამდა და საღოლ ეგ, ქალს ბავშვი ჰყავდეს და მაინც ეგრე უბერავდეს, კაი პონტიაო.

ტურნირის 1999 წლის ფინალისტი ამელი მორესმო კი საფინას ძლევის შემდეგ ამას ამბობდა: „უნდა ვაღიარო, რომ თავიდან ზანტად დავიწყე, ის კი შმაგად დაჰქროდა. რაკიღა საშინელი სიცხე იყო, 10-წუთიანი შესვენების აღება ვარჩიე და ამან გადამარჩინა. კორტზე მობრუნების შემდეგ მატჩს სადავეები ამოვდე, დინარას კი ილაჯი აღარ ეყო.“

რაც შეეხება პეტროვა — ფერგიუსონის განდაგანას, ამ მატჩის პირველმა სეტმა „როდ ლეივერ არენაზე“ შეკრებილ მილეთს ძალიან აამა — ლეგენდარული მარგარეტ კორტის სამშობლო ხომ ასე დანატრებულია ვარსკვლავებთან შემთამაშებელი გოგონას ხილვას. მაგრამ 15 წლის ცუგრუშელა სოფი ფერგიუსონმა ოზთა გასახარად მხოლოდ ერთი სეტი გაძლო, მერე კი თვითგამანადგურებელი ნინველური ფიქრების ტყვეობაში მოექცა და გარდერობივით პეტროვას მხოლოდ ერთ გეიმშიღა შეუბრუნა ჩოგანი.

დღის მთავარ მოულოდნელობად კი ვერა დუშევინასგან მეცხრე ნომრად განთესილი სეხნია ზვონარიოვას ოტება იქცა. უფრო მაგარმა ვერამ მატჩის მსვლელობისას 27 უნებლიე და 9 ორმაგი შეცდომა დაუშვა, რაიც საკმარისი გამხდა საიმისოდ, რათა უფრო სუსტ ვერას მესამე წრეში გერმანელ ანალინა გრიონფელდთან დატაკების უფლება მიეღო.

ხოლო ამქრის ბაბაჭუა სერენამ გუშინ 48 წუთში გაგუდა მადაგასკარელი დალი რანდრიანტეფი და მერე იძახდა, მატჩიდან მატჩამდე უფრო ბარაქიანი სანახავი ვხდებიო. მომდევნო წრეში ის ჰინდუ კვალიფიკანტ სანია მირზას ხვდება და სავარაუდოა, რომ იქ კიდევ უფრო ხვავრიელი საცქერი იქნება.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ



REUTERS მელბურნიდან

მარია შარაპოვა



REUTERS მელბურნიდან

სვეტლანა კუზნეცოვა



REUTERS მელბურნიდან

ანდრე აგასი

REUTERS მელბურნიდან

მარატ საფინი

ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲙᲘᲛᲝᲜᲝᲕᲔᲑᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ



ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲝᲜᲘᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲐᲗᲔᲜᲘᲡ ოლიმპიადის შემდეგ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები სრული საბრძოლო შემადგენლობით პირველად ცხრა დღეში სპორტულ სასახლეში იჭიდავებს. 29-30 იანვრისთვის დაგეგმილ თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს წლეულს სტუმრებიც წინა წლებზე მეტი ეყოლება და მედლებისთვის დიდი ბრძოლებიც გაჩაღდება

შოთა ხაბარელის სამწყსოს მანამდე ერთი სერიოზული ტურნირიც ელის. 22-23 იანვარს მოსკოვის ტრადიციული საერთაშორისოა, თუმცა მწვრთნელის გადაწყვეტილებით, რუსეთში ქართული ძიუდოს დიდებას ახალგაზრდები დაიცავენ.

რუსულ-ქართული ტურნირებისთვის უკეთ მოსამზადებლად ნაკრები ამ დღეებში სასტუმრო „მონოპოლში“ დაბანაკდა და იანვრის ბოლომდე იქვე დარჩება. „შეკრებაზე 28 ძიუდოისტია. ეს ის ბიჭები არიან, ვინც ლოს ორ შეჯიბრში რომ უნდა გამოვიდნენ.

„დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ და ჯერჯერობით ყველაფერი გეგმახალიერად მიდის. ტრავმაც არავის აწუხებს“ — გვითხრა გუშინ ხაბარელმა.

ბოლოს, ერთი ინფორმაციაც: ტურნირის მონაწილეთაგან პირველები ბოსნიელები ჩამოვლენ. ამ ქვეყნის ნაკრები დღეს გვესტუმრება და ბოლო წინასატურნირო შეკრებას აქვე გაივლის.

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲖᲛᲘ

ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲩᲕᲘᲝᲗ ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲤᲣᲠᲗᲮᲔᲑᲐᲡ
ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲐ, ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ!

პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა ჩინელ მოსწავლეებსა და უფროსებსაც ასწავლოს საზოგადოებაში თავაზიანი მოქცევა. სპორტული ჩინოვნიკების ჩანაფიქრით, ოლიმპიური თამაშების გახსნის დღისთვის პეკინელებმა დიდიან პატარიანად უნდა იცოდნენ ყოფაქცევის ელემენტარული წესები.

ელემენტარული ზრდილობისამებრ, ჩინეთში ბავშვები პირველები უნდა მიესალმონ უფროსებს და პატივი სცენ მათ. ამასთან, ეროვნული ჰიმნის აჟღერებისას უნდა მიიღონ ამაყი იერი.

სწავლების ეს აქცია ტარდება ლოზუნგით: „ოლიმპიური ალი: თავაზიანობა და ზრდილობა“. ეს გაგრძელდება ოლიმპიური თამაშების გახსნის დღემდე. ამ პროგრამის წარმოდგენას 900 მოსწავლე დაესწრო. თითოეულმა მათგანმა ძალოსნობაში ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ჩიან გოჩუენისგან მიიღო „თავაზიანობის სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის“.

როგორც ჰონკონგის გამოცემა SOUTH CHINA MORNING POST იუწყება, პეკინელები უნდა გადაეჩვიონ ქუჩების დანაგვიანებასა და ფურთხებას, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ჰიმნის შესრულებისას უნდა დაეჩვიონ ფეხზე წამოდგომას.

სხვადასხვა პროპაგანდისტული ღონისძიებათა შედეგად, პეკინელებს ასწავლიან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ნაირგვარ ცხოვრებისეულ ვითარებაში, სპორტულ შეჯიბრებებზე, სკოლებში და სამუშაოებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მიმართ მოპყრობის თავისებურებებს.

ჩინოვნიკები, რომლებიც ამ პროგრამის განხორციელებაზე არიან პასუხისმგებლები, ამბობენ, რომ დარჩენილი სამი წლის განმავლობაში მათ დიდი მუშაობა მოუწევთ.

„მაგალითად, როცა ავსტრალიაში ვიყავი, ქუჩებში არ გამიგია ავტომობილების სიგნალი, ხოლო სიდნეის ოპერაში არ მინახავს არც ერთი შემთხვევა, რომ ვინმეს დაეგვიანოს სპექტაკლზე, ან მის დამთავრებამდე წასულიყო. პეკინში, სამწუხაროდ, ასეთი ქცევა ჯერ არ გამხდარა საყოველთაო“ — განაცხადა პეკინის საქალაქო კომიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორმა სუნ გუილინმა.

ჩინელი შოფრები იმით არიან ცნობილნი, რომ ავტომობილების საყვირებს წამდაუწუმ აყვირებენ. ამიტომაც პეკინელ ტაქსისტებთან მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა.

დიდი მუშაობა მოუწევთ აგრეთვე სპორტის გულშემატკივრებთანაც.

„მაგალითად, პეკინში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებზე ხალხი ხშირად სავარძლებში მჯდომარენი რჩებიან, როცა სხვა ქვეყნის ჰიმნი სრულდება, ან მოწინააღმდეგე გუნდს შეურაცხყოფას აყენებენ“ — ამბობს საქალაქო დეპარტამენტის დირექტორი ეთიკის სფეროში ჩიან ხუიგუანი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აგრეთვე სამი მილიონ დროებითი მომუშავის ყოფაქცევის წესებს, რომლებიც პეკინში მთელი ჩინეთიდან არიან ჩამოსულნი. მათთვის ამ თვეში უკვე მოეწყო სპეციალური უფასო სეანსები „პოზიტიური“ ფილმების საცქერლად.

საქალაქო ხელისუფლებამ გამოყო აგრეთვე 2 მილიონი იუანი (250 ათასი დოლარი) პეკინში დროებით მომუშავე პირებისა და დედაქალაქის შემოგარენში მცხოვრებთათვის განკუთვნილი ზრდილობის წიგნისა და დისკის გამოცემა-გავრცელებისთვის.

ᲪᲣᲠᲕᲐ

ᲨᲣᲛᲐᲜᲛᲐ ᲗᲐᲡᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲔᲜᲐ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ როლანდ შუმანმა სტოკჰოლმში (შვედეთი) მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპზე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. მან ამ წარმატებას 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მიაღწია (52,31 წმ), რითაც 0,07 წამით გაუმჯობესა თომას რუპრატის რეკორდი.

ამას გარდა, შუმანმა გაიმარჯვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც (46,45), სადაც უკან ჩამოიტოვა თანამემამულე რიკ ნიტლინკი.

ᲐᲕᲢᲝᲠᲑᲘᲚᲐ

ᲛᲘᲰᲐᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ავტოდრომებზე მეფორმულეთა წინასასეზონო ტესტები გრძელდება.

სამთვიანი შვებულების შემდეგ პირველად მიუჯდა საჭეს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, თუმც მასაც და ბარსელონაში ჩასულ სხვა ოთხი საკინიბოს მძღოლებსაც პირველი დღე გაუცდათ კურიოზული მიზეზის გამო. „კატალუნია მონტმელოზე“ საფარი შეცვალეს და ასფალტი ისეთი სრიალა გამოვიდა, რომ ვარჯიში შეუძლებელიაო, დაიჩივლა BAR-მა და ვალენსიაში გადაბარდა.

სხვებმა დარჩენა ამჯობინეს, რადგან ავტოდრომის ხელმძღვანელობამ ტრასაზე იქაური ავტოსკოლის პილოტები აჯირითა, რაია ზედაპირი მტვრითა საბურავების ნარჩენებით დაფარულიყო და მოჭიდება გაზრდილიყო. ამან მეტ-ნაკლებად საქმეს უშველა და მეორე დღეს შვიდი მრ-



ბოლი გავიდა სავარჯიშოდ.

ყველაზე მეტად მიხაელმა იაქტიურა, შარშანდელი „ფერარიით“ 103-ჯერ შემოუქროლა 4,5-კილომეტრიან წრეს და საუკეთესო დროც აჩვენა — 1 წუთი, 16,627 წამი. უოლიამსელი მარკ ვებერი წამნახევრით ჩამორჩა, სამაგიეროდ, გუშინ იყოჩაღა და ჩემპიონს ნახევარი წამი მოუკლო.

ესეც ორი ნიამორი

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამართული პრესკონფერენციით თბილისის სამთო, საოაკგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი „ნიამორი“ გაიხსნა.

წლების განმავლობაში პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი სპორტსმენების, მთამსვლელების და მოგზაურების მიერ გადაღებული დოკუმენტური კადრებით სახელმწიფო და კერძო ტელევიზიებში არაერთი საინტერესო ფილმი შექმნილა. უდიდესი მასალა დაუმონტაჟებელი რჩებოდა და რჩება. „ნიამორის“ დამფუძნებელთა უმთავრესი მიზანიც სპორტულ-სათავგადასავლო ფილმების ახალი ტალღის აგორებაა.

პირველი ფესტივალი მარშან, იანვარ-მარტში, თბილისში ჩატარდა. 27 ფილმიდან საუკეთესოდ ნინო ჯაფიაშვილისა და თემურ გოგოლაძის „თუჯი ჩეი ჯომოლუნგმა“ დაასახელეს. ნომინანტებს შორის შარშან ერთი ამერიკული ფილმიც ყოფილა. წლეულს მონაწილეობის სურვილი რუსებმა, უკრაინელებმა და იტალიელებმაც გამოთქვეს. ბერგამოს ალპური კლუბის წარმომადგენლის, ცნობილი მთამსვლელისა და მოგზაურის სილვიო კალვის ხელმძღვანელობით აპენინელებს ხუთი ფილმი უკვე გამოუგზავნიათ, რომლებსაც თან კალვის ფოტონამუშევრებიც ახლავს.



მყინვარწვერიაკენ... კოტე გუჯაბიძის ფოტო

სატელევიზიო ფილმების ფესტივალის პარალელურად ფოტოგამოფენაც შედგება. ორგანიზატორთა აზრით, იგი ფესტივალის პოპულარიზაციის ერთ-ერთი საშუალება იქნება, თან ერთი ისტორიული საქმეც გაკეთდება — არქივს ქართველ ფოტოხელოვანთა მიერ შექმნილი უნიკალური კადრებიც შემორჩება.

— შარშანდელ ფოტოგამოფენაზე, სადაც თაობის მთამსვლელ-ფოტოგრაფთა 80-ზე მეტი ნამუშევარი შეგროვდა, წლეულს კი უკვე 33-მა ავტორმა 160-ზე მეტი ფოტო წარმოადგინაო — გვითხრა ფესტივალის დირექტორმა თამუნა ჯიშკარიანმა. მისმა მოადგილემ, გიორგი კალატოზიშვილმა გვაცნობა, რომ ფილმების მიღება 31 იანვრამდე გაგრძელდება, ხოლო ჩვენება 25 თებერვლიდან კინოთეატრ „რუსთაველის“ მცირე დარბაზში შედგება.

ხუთ ნომინაციას — სამთო ექსპედიცია, ექსტრემი, მაშველები, მოგზაურები და მთა და ადამიანი — თავ-თავისი ჟიური ეყოლება (სამ-სამი კაცი). საუკეთესო ფილმების გარდა გამოავლენენ მაყურებლის სიმპათიის, საუკეთესო ოპერატორის, რეჟისორის, ხმის რეჟისორის, სცენარის და სხვა ნომინაციების გამარჯვებულებსაც. ფესტივალის საპრიზო ფონდი ხუთი ათასი ამერიკული დოლარია.

„ნიამორის“ ორგანიზატორებმა პრესკონფერენციის ბოლოს ფესტივალის ერთ-ერთი სპონსორის, კაფე „პელეს“ მიერ დაწესებული პრიზებით ჟურნალისტები დააჯილდოვეს.

ოთარ გალლაკელიძე

კასპაროვმა ოცწლიანი გაიხსენა და წერილი დაწერა



ბოლო დროს თითქოსდა დაწყობილი საჭადრაკო სამყარო კვლავ აირია. მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა გარი კასპაროვმა უკვე საბოლოოდ განაცხადა უარი ფიდე-ს წამოწყებაზე, საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების პროცესში მონაწილეობაზე. მან უარი თქვა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენ მატჩში ფიდე-ს ჩემპიონ რუსტამ კასიმჯანოვთან შეხვედრაზე. ამის შესახებ დიდოსტატმა ფიდე-ს ღია წერილით აცნობა, შეხვედრა კი სტამბოლში 24 აპრილიდან 14 მაისამდე იყო დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ სტამბოლამდე, 2004-ში, მატჩი დუბაიში უნდა გამართულიყო, თუმც ორგანიზატორებმა საჭირო საპრიზო თანხა 1,2 მილიონი დოლარი ვერ გამონახეს. 2003-შიც უფულობის გამო ორჯერ ჩაიშალა მატჩი კასპაროვსა და ფიდე-ს იმდროინდელ ჩემპიონ უკრაინელ რუსლან პონომარიოვს შორის. მიზეზი, კვლავაც იგივე იყო ფიდე-ს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა საჭირო თანხას ვერ მოუყარა თავი.

„2002 წელს ფიდე-სთან კომპრომისზე წავედი და დავთანხმდი, რომ გახლეჩილი საჭადრაკო სამყარო გაგვერთიანებინა. ამის შემდეგ უკვე ორნახევარი წელი მიილია და მე ოთხჯერ ვიყავი მზად საჩემპიონო მატჩის სათამაშოდ, თუმც ყოველთვის ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემები გვიშლიდა ხელს. ამ დროში ოთხჯერ მოვემზადე მატჩისთვის, რაც საკმაოდ რთული პროცესი იყო, ეს დიდ თანხად და სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრავმად დამიჯდა. ამის გამო კი ფიდე-მ არც ბოდიში მომიხადა და არც ფინანსურად დამეხმარა. უკვე ყელში ამომივიდა მათი ზერელე დამოკიდებულება საქმისადმი და მათთან კონტრაქტი გავწყვიტე“ — წერს კასპაროვი ფიდე-სთან გაგზავნილ ღია წერილში.

დიდოსტატის თქმით, მოთმინების ძაფი მას შემდეგ გაუწყდა, რაც ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირზე მიიღო მიპატიჟება. ამ დროისთვის კი იგი კასიმჯანოვთან სათამაშოდ ემზადებოდა და იძულებული გახდა, სუპერტურნირზე უარი ეთქვა. თუმც მოგეხსენებათ, ეს მატჩი გაზაფხულისთვის გადაიდო და ფიდე-მ ამის გამო კასპაროვს გვიან აცნობა.

„თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ ბატონ ნიჰათ იაზიკისადმი სიმპათიურად ვარ განწყობილი და ჩემი უარის გამო მას ვუხდი ბოდიშს. პირობას ვაძლევ, რომ მომავალში ყველაფერს გავაკეთებ ამ ქვეყანაში ჭადრაკის განვითარებასა და პოპულარიზაციისათვის. 2002-ში ვოცნებობდი, რომ საჭადრაკო გვირგვინი დამებრუნებინა. საოცრება რომ მოხდეს, კვლავ ვითამაშო და ჩემპიონობაც რომ მოვიგო, არა მგონია, გაერთიანება მოხდეს, რადგან ფიდე ამისათვის უბრალოდ, მზად არ არის. ბევრს კი საერთოდ არ სურს გაერთიანება. მომავალში ვაპირებ, რომ ყველა სუპერტურნირში ვითამაშო. ბოლო 20 წელია, მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ვარ და ამით ჩემს ტიტულს შეკინარჩუნებ. უბრალოდ, მე გავდივარ საჭადრაკო პოლიტიკიდან“ — წერს ბოლოს კასპაროვი.

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 14-30 იანვარი

IV ტური

მაკილ ადამსი (ინგლისი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	1:0
რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — პეტერ ლეკო (უნგრეთი)	0,5:0,5
ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	1:0
ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) — ლაზარო ბრუზონი (კუბა)	0,5:0,5
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — ივან სოკოლოვი (ჰოლანდია)	1:0
ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) — იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)	0,5:0,5
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	0,5:0,5

ადამიანმა ობობამ დანტისტი გააბა

სპეციალისტებისგან ნაქებ და ფავორიტად შერაცხულ ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს ინგლისელმა მაიკლ ადამსმა მძიმე ბრძოლაში სძლია და მის ადგილსაც დაეპატრონა. ეს იყო კლასიკური პარტია, რომელიც ინგლისელმა შესანიშნავად შეასრულა. ალბიონელმა საუკეთესო ფორმაში მყოფი ბულგარელის წინააღმდეგ მთელი თავისი ოსტატობა გამოავლინა და ჟურნალისტთა ქებაც დაიმსახურა. მათ ადამსს თანამედროვე დროის მსოფლიოს ექსჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი უწოდეს.

ადამსს, რომელსაც მეტსახელად ადამიან-ობობას უწოდებენ, აქამდეც ხშირად შეხვედრია ბულგარელ სტომატოლოგად ცნობილ ტოპალოვს და უმეტეს შემთხვევაში უმარჯვია.

მეოთხე ტურის პარტია ინგლისელმა აქტიურად დაიწყო. მან საკუთარ ტერიტორიაზე მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა და მე-8 სვლაზე G ხაზის პაიკით წავიდა იერიშზე. თამაშმაც მარჯვენა ფლანგისკენ გადაინაცვლა, ტოპალოვმა წამოსული მტრის წინააღმდეგ ბარიკადების მშენებლობა წამოიწყო, ადამსაც წინსვლა ცოტა შეაჩერა, ავანგარდს უკან ზურგი მოუმაგრა და მე-14 სვლაზე პაიკი გაუცვალა მეტოქეს. ამ მცირე სისწლისღვრის შემდეგ მეტოქეები დროებით მოეშვნენ და საკუთარ ფლანგებს მიხედეს.

მე-15 სვლაზე ადამსმა როქი გააკეთა, ეტლი საბრძოლო პოზიციაზე დააყენა და კვლავ ხელმწიფის ფლანგიდან მიაწვა მეტოქეს. ორთაბრძოლა განახლდა, მოჭადრაკეებმა ფიგურების გაცვლა დაიწყეს, სადაც სტრატეგიულად უკეთ მოაზროვნე ინგლისელმა იძალა, მან ჯერ ხელმწიფის ფლანგზე მუსრი გაავლო შავებს, შემდეგ კი G ხაზზე მოძრავი პაიკი ორ ნაბიჯამდე მიაახლოვა ჩათვლის ხაზს და 41-ე სვლაზე ტოპალოვმაც ხელები ასწია.

გალიდერების ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან უნგრელმა პეტერ ლეკომ. მადიარი ფიდე-ს ექსჩემპიონ რუსლან პონომარიოვს დაუპირისპირდა, 44 სვლა სდია და საბოლოოდ ოდენ ნახევარ ქულას გამორჩა, ამით კი მხოლოდ ძველი ადგილი შეინარჩუნა.

ვერა და ვერ ეშველა სუპერტურნირის აწ უკვე ყოფილ ფავორიტუხუცესს, ინდუს ვიშვანათან ანანდს. ამჯერად მან რუს პეტერ სვიდლერთან გაიყო ქულა და კვლავაც მისთვის შეუფერებელ მე-11 ადგილზე ჩაქვეითდა.

ლაზა გეგეჭკორი

1 მაიკლ ადამსი (ინგლისი)	3 ქულა
2 პეტერ ლეკო (უნგრეთი)	3
3 ვესელინ ტოპოლოვი (ბულგარეთი)	2,5
4 რუსლან ჰონომარიოვი (უკრაინა)	2,5
5 ნაიჯელ შორტი (ინგლისი	2,5
6 ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)	2,5
7 ლაზარი ბრუზონი (კუბა)	2,0

ნუხელ „ურალ გრეიტი“ ფიბა-ევროლიგის მატჩში თურქულ „ფენერბახჩეს“ შეხვდა, მაგრამ პერმელთა ქართველ ახალწვეულ გიორგი ცინცაძის დებიუტი არც ამჯერად შედგა. „ფენერბახჩესთან“ ვერც შედგებოდა, რადგან ფიბა-ევროლიგაში თითოეულ გუნდს ოთხი ლეგიონერის დარეგისტრირების უფლება აქვს, „ურალ გრეიტს“ კი ეს ლიმიტი უკვე ამოეწურა. ასე რომ, ცინცაძისთვის ევროტურნირის კარიბჭე ამ სეზონში ჩაირაზა და მას სარბიელად მხოლოდ რუსული სუპერლიგა დარჩა. ცინცაძეს მისვლის შემდეგ პერმელებმა ერთი შეხვედრა უკვე გამართეს, მაგრამ ქართველი გამთამაშებელი პეტერბურგელებთან სათამაშოდ მოედანზე არ გასულა. ამის მიზეზს თავად გიორგი გვიამბობს პერმიდან...

ცინცაძის ევროიალლიში
რუსმა ამერიკელს ქართველი ანაცვალა

— იმედგაცრუებული ხარ, რომ არ გათამაშეს?

— თამაში, რა თქმა უნდა, მინდოდა, მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილებას გაგებით მოვეკიდე. საქმე ის გახლავთ, რომ „ურალ გრეიტის“ გამწევ ძალას სამი ლეგიონერი წარმოადგენს — იურიცა გოლემაცი, შერონ სასონი და სემ ჰოსკინი. რუსეთის ჩემპიონატში კი სამ ლეგიონერზე მეტს მოედანზე ვერ გაიყვან, ასე რომ, როცა პრინციპული მატჩია, ეს ტრიო 40 წუთი თამაშშია.

— ესე იგი, უმეტეს შემთხვევაში სკამზე მოგიწევს ჯდომა, რაკი „ურალ გრეიტი“ ცხრილის ქვედა ნახევარშია და მისთვის თითქმის ყველა მატჩი პრინციპულია...

— ჰო, მაგრამ ამიერიდან ალბათ ლეგიონერებს მცირე ხნით მოუწევთ ხოლმე დასვენება და მცირე თამაშის საშუალება მეც მომეცემა. სანკტ პეტერბურგის „სპარტაკთან“ დაძაბული ბრძოლა იყო და თან ლეგიონერებსაც თამაში წაუვიდათ. ჰოსკინმა 40, სასონმა 20 და გოლემაცმა 10 ქულა გააკეთეს. მატჩის შემდეგ მწვრთნელმა მითხრა, იმედია, არ გეწყინება, რომ არ გათამაშეო და მომავალ მატჩში მოედანზე გაყვანას დამპირდა.

— მომდევნო მატჩი დღეს გაქვთ...

— დღეს, სამწუხაროდ, ვერ ვთამაშობ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ განაცხადში არ ვიქნები. ფიბა-ევროლიგაში თითოეულ გუნდს ოთხი უცხოელის ყოლის უფლება აქვს და „ურალ გრეიტმა“ უკვე ამოწურა ეს ლიმიტი.

— აკი, სამი ლეგიონერიაო?

— სამი ახლაა, რადგან ერთი ამერიკელი უკვე გაუშვეს გუნდიდან. „ურალ გრეიტს“ ტონი ბლენდიც თავისთავად ჰყავდა საევროლიგო განაცხადში და მერე რა, რომ ის ჩვენთან აღარაა — ბლენდმა უკვე ითამაშა ფიბა-ევროლიგაში და ლიმიტიც ამოწურულია.

— ეგ ამერიკელი გამთამაშებელია ხომ?

— სწორედ ჩემი ამპლუასაა და როგორც ცსკა-ს ხელმძღვანელობისგან გავიგე, ის ჩემს გამო გაუშვეს გუნდიდან. ასეთი არჩევანის წინაშე მდგარან: ან მე უნდა ავეყვანეთ და ბლენდი გაეშვათ, ანდა პირიქით.

— სამარადან პერმში შენთან ერთად წამოსულმა იგორ ვიალცევმა უკვე მოასწრო თამაში...

— ეს იმიტომ, რომ ვიალცევი რუსია და ლეგიონერთა ლიმიტის პრინციპი მასზე არ ვრცელდება. მას ძალიან გაუმართლა, ევროტურნირშიც შეუძლია ოამაში და სუპერლიგაშიც.

— ესე იგი, რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში დებიუტს ელი...

— მწვრთნელმა როგორც მითხრა, უნდა ვითამაშო და მეც, რა თქმა უნდა, ვემზადები. კარგა ხანია, სუპერლიგაში არ მითამაშია და ცოტა ფორმაში ვერ ვარ, მაგრამ ძალიანაც არ გამიჭირდება, რადგან მოედანზე ალბათ ცოტა ხნით გამიყვანენ.

— და მეტოქე ვინაა?

— მოსკოვის ცსკა, ჩემი მფლობელი გუნდი. ესეც თავისებური მოტივაციაა ჩემთვის და მწვრთნელიც ალბათ უთამაშებლად არ დამტოვებს. ასე რომ, ორმაგად უნდა მოვინდომო — აქეთ ჩემს ახალ გუნდს და იქიც მოსკოველებს უნდა მოვაწონო თავი.

— ჰოდა, ამხელა მოტივაცია უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?

— არა მგონია, რადგან ერთხელ უკვე ვყოფილვარ ასეთ სიტუაციაში და მაშინ თავი არ შემირცხვენია. „სამარაში“ ახალი განათხოვრებული ვიყავი, სუპერლიგაში ცსკა-ს რომ ვეთამაშეთ და საკმაოდ შედეგიანიც ვიყავი. ახლაც იმედიანად ვარ, მთავარია, მოედანზე გავიდე 22 იანვარს.

— „ფენერბახჩესთან“ დღევანდელ მატჩს ტრიბუნიდან უყურებ?

— ჰო, აბა, განაცხადში ვერ შემიყვანენ და სათადარიგო სკამზე ჩემს ჯდომას რა აზრი ექნება. ისე, ახლა გუნდთან ერთად ვარ შეკრებაზე და ჩვეული რიტმით ვვარჯიშობ.

ირაკლი პერტაია

ერთი თქვენი დედ...ლაინიც
ცქიტიშვილი ისევ აჯანყდა



მცირე შესვენების შემდეგ ნიკა ცქიტიშვილმა „დენვერის“ ხელმძღვანელობასთან ულტიმატუმის ენაზე ლაპარაკი განაახლა. „ნაგიტსის“ ქართველი ფორვარდი კვლავ გუნდიდან გაშვებას ითხოვს, არ მათამაშებთ და თქვენთან არაფერი მესაქმებაო.

სეზონი ახალი დაწყებული იყო, ცქიტიშვილმა ერთი ამბავი რომ ატეხა, აქამდე სამადლო დროით მათამაშებდით და კენიონ მარტინის გუნდი მოსვლის შემდეგ საერთოდ აღარ გამიყვანთ მოედანზეო. მაშინ „სკიტას“ ამბოხი ისე გამძაფრდა, რომ საქმეში მისი მენეჯერიც ჩაერია და დენვერელთა ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება წამოიწყო. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ცქიტიშვილი დაიმედეს, შენ მოინდომე და ყველაფერი კარგად იქნებაო. ქართველიც იმ იმედით დარჩა, რომ სიტუაციას შეხედავდა და თუ მისი სკამზე ჯდომა კვლავაც გაგრძელდებოდა, ისევ გუნდიდან გაშვებას მოითხოვს.

მას შემდეგ „დენვერში“ მწვრთნელიც შეიცვალა, მაგრამ ცქიტიშვილი ათამაშდა კი არა, სკამს კიდევ უფრო მიეჯაჭვა. ჰოდა, ქართველმა სიტყვა შეასრულა და დედლაინამდე (სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე) ერთი თვით ადრე კვლავ გუნდიდან გაშვებას ითხოვდა.

„ერთადერთი, რაც მინდა, „დენვერიდან“ წასვლა და ისეთ გუნდში გადაბარგებაა, სადაც მათამაშებენ და მომავალი სეზონისთვისაც გამომიყენებენ“ — განაცხადა ცქიტიშვილმა გუშინწინ „სიეტლ სუპერსონიკთან“ მატჩის წინ.

მანამდე ორი დღით ადრე „სკიტა“ ფიქრობდა, რომ ახალი მწვრთნელი მაიკ კუპერი მას კარგა ხნით ათამაშებდა „გოლდენ სტეიტთან“ მაგრამ...

კუპერი მართლაც აპირებდა ცქიტიშვილის ძირითადში გამწესებას, რაკი სამი კალათბურთელი აკლდა და მათ შორის ქართველის თანაამპლუელი კენიონ მარტინი. თუმც მწვრთნელი „სკიტას“ ოდენ ათი წუთით ენდო, ხოლო სასტარტოში მის ნაცვლად როდნი ვაიტი ჩასვა.

„ჩვენ ხეირიანი მოთამაშეები გვჭირდება და ისეთი დალხენილნი არ ვართ, უშედეგო მოთამაშეები მოედანზე გავიყვანთ“ — თქვა დენვერელთა თავკაცმა, როცა ქართველზე დაეკითხნენ.

ცქიტიშვილი: „მე ველოდი, რომ შედარებით მეტს მათამაშებდნენ, მაგრამ მწვრთნელმა პატარა შეცდომა არ მაპატია და მოედანი დამატოვებინა.“

დენვერელი ჟურნალისტები კი დასძენენ, რომ ქართველს საახალბედო პერიოდი გაეწელა და გუნდისგან გაცემული ავანსების გამართლებას აგვიანებს.

შეგახსენებთ, რომ დედლაინი 24 თებერვალსაა...

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

18 იანვარი

სიეტლი 110:116 დენვერი

ძირითადი დრო 95:95

სიეტლი: რადმანოვიჩი (25), დანიელსი (20), ალენი (17), ლუისი (17), ფორტსონი (16)

დენვერი: მილერი (30), კემბი (25 ქულა, 24 მოხსნა), ბოიკინსი (18)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

საკრამენტო 113:107 პორტლენდი

ძირითადი დრო 100:100

საკრამენტო: ვებერი (32 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), მობლი (20), მილერი (16)

პორტლენდი: ვან ექსელი (30), პატერსონი (23), სტუდემაიერი (21)

დალასი 137:120 ვაშინგტონი

დალასი: სტეკჰაუზი (29), ნოვიცკი (28 ქულა, 11 მოხსნა), ტერი (26), ფინლი (25)

ვაშინგტონი: არენასი (43), ჯეფერსონი (27 ქულა, 10 მოხსნა), დიქსონი (19)

ჰიუსტონი 74:87 ინდიანა

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (28), მინგი (21)

ინდიანა: ტინსლი (28), ონილი (27)

ორლანდო 103:101 დეტროიტი

ორლანდო: ფრენსისი (32 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), თურქოღლუ (29)

დეტროიტი: ჰამილტონი (26), რ. ვოლესი (17), ჰანტერი (14)



165-სანტიმეტრიანმა დენვერელმა ერლ ბოიკინსმა „სიეტლს“ ოვერტაიმში 15 ქულა ჩაუგდო

ევროლიგა

Euroleague

XI ტური. 18 იანვარი

A ჯგუფი

ესტუდიანტესი 81:87 ციბონა

B ჯგუფი

სიენა 74:70 ოლიმპია

C ჯგუფი

სკილანტერზი 68:66 პანათინაიკოსი

ბენეტონი 75:63 ტაუ

ცსკა 90:77 ულძერი

უნიკახა 80:71 პო-ორტეზი

ᲨᲝᲨᲝᲚᲝᲩᲐ

REUTERS კეიტაუნიდან

ეს პირველადაა, რომ სამხრეთაფრიკული იახტა ამერიკის თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება. ამიტომ კეიპტაუნის შორიახლოს „შოშოლოჩას“ ეკიპაჟის ფიცხელი ვარჯიში მიმდინარეობს. გერმანულმა „თი-სისტემზმა“ გაუგონარი, ნ-მილიონდოლარიანი სპონსორობა გასწია „შოშოლოჩას“ მოსამზადებლად.

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

თოვლს და ყინვას გამოუცოცხლებია მთვლემარე ზავრები. შეჯიბრი ჯერ არ დაწყებულა და ჯარისკაციც მარტოა ტრიბუნაზე, სლიემეს მთის ძირას, სადაც მსოფლიო თასის ქალთა სლალომი უნდა გაიმართოს და იანიცა კოსტელიჩის მშობელი ხალხი ხელებს იფშვნეტს. ხორვატიაში პირველად ტარდება ამ დონის შეჯიბრი.

REUTERS ზაგრებიდან

ᲡᲔᲠᲔᲜᲐᲡ ᲪᲥᲔᲠᲐᲨᲘ

REUTERS მელბურნიდან

მელბურნში კარგი ამინდია და ვინუსი და დედა ორასენი კი ტერასიდან უცქერენ, თუ როგორ ამარცხებს სერენა უილიამსი მადაგასკარელ დელი რანდრიანტეფის. ავსტრალიის ღია პირველობა კი ძალას იკრებს.

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ

ოქროს ნაპირის სერფობა, ახლა რომ გახურებულა ავსტრალიაში, მეტად კარგი საცქერია. არის ტალღა, არის დაფა და არის ოსტატი. მეტი რაღა გინდა? ეს მოყირამალე კი აფრიკელი ჯორდი სმიტია.



REUTERS დურანბანიდან



REUTERS ვანკუვერიდან

ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲘ ᲡᲚᲐᲚᲝᲛᲘ

სნოუბორდის მსოფლიო ჩემპიონატი, ყველაზე წარმტაცი შეჯიბრი: პარალელური გიგანტური სლალომი. შეუცარიელ ურს აიზელენი წონასწორობას კარგავს და ჯამურ მეორე ადგილს სჯერდება. პირველი კი კანადელი ჯესი ჯეი ანდერსონია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფიცხელია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილიანანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორრეიშვილი, ლადო ხიძერიანი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვიაჩესლავ ლეკვან ელაურაძე
ოთარ მალლაკელიძე, ირა ალი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ყეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზეიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge